თამარ კბილაძე

ახალი საგადასახადო პარადიგმის ფორმირების თეორიულ - მეთოდოლოგიური და ემპირიული ასპექტები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

რედაქტორი: ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

რეცენზენტები: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი იოსებ არჩვაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი თეა კასრაძე

დაიბეჭდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო - საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით (08 მაისი, 2018 წლის სხდომის ოქმი N 1).

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-299-9

სარჩევი

შესავალი

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილულია ახალი საგადასახადო პარადიგმის ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ემპირიული ასპექტები.

საგადასახადო პარადიგმა და მისი ეტაპობრივი კვლევა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მეცნიერები და ამ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები და ექსპერტები ძირითადად თანხმდებოდნენ ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპის შესაბამის საგადასახადო პარადიგმაზე, რაც საწყის ეტაპზე საგადასახადო პოლიტიკის რესტრუქტურიზაციას გულისხმობდა. იგი საბაზრო ურთიერთობების პირობებში არსებითად განსხვავებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე ჩამოყალიბდა და განვითარდა ვიდრე ეს იყო გეგმური მეურნეობის დროს.

მეოთხედი საუკუნეა საქართველოს ეკონომიკა გაჭიანურებული გარდამავალი ეკონომიკის რეჟიმში ფუნქციონირებს. ქვეყნის ხელისუფლების ოთხჯერადი ცვლილების მანძილზე საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური ორგანიზაციების დახმარებით საქართველოში გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა საგადასახადო პოლიტიკა და შესაბამისად საგადასახადო პარადიგმა. მიუხედავად ამისა, გვიანდება მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ეკონომიკას ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია 1990 წლის ნიშნულისათვის. თუ ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდს 2 ეტაპად

განვიხილავთ, გასული საუკუნის 90 -ანი წლებიდან 2003 წლამდე და 2003 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე, შეიძლება შევნიშნოთ რომ პირველი ეტაპი ძირითადად ეკონომიკის ძველი სტრუქტურის დემონტაჟს და ახალი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ძირითადი პოსტულატების (საკანონმდებლო ბაზა, ახალი საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება) შექმნის პროცესს მიეძღვნა, რაზეც თავისთავად არახელსაყრელი გავლენა იქონია როგორც სამოქალაქო ომმა, ისე სახელმწიფო ქონების მიტაცებისა და არასამართლიანი გადანაწილების პროცესმა, აგრეთვე კორუფციის მაღალმა დონემ. მის მეორე ეტაპზე, ეკონომიკისა და საგადასახადო შემოსავლების გარკვეულ ზრდას ჰქონდა ადგილი, რასაც თან ახლდა ეკონომიკის განვითარებაში არასანქცირებული ჩარევისა და მეწარმეებზე უსამართლო ზეწოლის არასახარბიელო ფაქტები. ასეთ ვითარებას დაემატა მსოფლიო ფინანსური კრიზისი და რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებებით გამოწვეული ზარალი. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად თუ 2003-2016 წლებში საქართველოს ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 3-4%-ით იზრებოდა, მას თან არ ახლდა დასაქმების შესაბამისი ზრდა. უფრო მეტიც, ეს მაჩვენებელი ამავე პერიოდში საშუალოდ წელიწადში 1,1%-ით მცირდებოდა. პროდუქციისა და მომსახურების იმპორტი ჯერადობით სჭარბობდა პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტს, საიმედოდ ვერც ინფლაციის მაჩვენებელი გამოიყურება (იგულისხმება მისი სანდოობის ხარისხი). ქვეყნის მაკროეკონომიკაში შექმნილი ვითარება ვერ პასუხობს ეგრეთწოდებული ,,კეინზიანური მაგიური ოთხკუთხედის'' მხარეთა რაციონალური დამოკიდებულე-ბების მოთხოვნებს, რომელიც დღესაც აქტუალურია საქართ-

ველოს ეკონომიკისათვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკისა და საგადასახადო შემოსავლების ურთიერთ-კავშირს: უკანასკნელი 16 წლის მონაცემთა კორელაციურ-რეგრესიული გაანგარიშებები ცხადყოფს, რომ ცვლადებს შორის კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია და 0,9905 შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია საგადასახადო შემოსავლების ზრდას-თან. მოცემული მჭიდრო კორელაციური კავშირი სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია საქართველოს საგადასა-ხადო სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლის მიხედვით გადასახადების რაოდენობა და მათი განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, მიუხედავად ამისა, საგადასახა-დო ტვირთი შემდგომ ოპტიმიზაციას საჭიროებს.

საგადასახადო პარადიგმა ეკონომიკის განვითარების კვალობაზე გარკვეულ ევოლუციას განიცდის. ამ მხრივ ეპოქალური მნიშვნელობის ცვლილებები იგეგმება ეკონომიკის მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვე-ვების პირობებში. ახალი საგადასახადო პარადიგმის არჩევაში რამდენიმე ფუძემდებლური მიმართულება უნდა გავითვალისწინოთ.

პირველი, ეს არის საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე, მიღწეული დონიდან გამომდინარე პარადიგ-მას მიკუთვნებული საკითხები და მათი კვლევა, ესენია:

- მიკრო და მაკრო დონეებზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობის დადგენასთან დაკავშირებული პრობლემები;
- გადასახადების ორადი ბუნება გადასახადების ოპტიმალური განაკვეთის სიდიდის შეფასებისთვის;

- საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქე და უთანაბრობა საწარმოთა ტიპების (მსხვილი, საშუალო, მცირე) და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით;
- საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობა მაკრო დონეზე ლაფერის მრუდის მიხედვით

მეორე, ახალი საგადასახადო პარადიგმის ქვემდებარე საკითხები და მათი კვლევა. ესენია:

- ეკონომიკის მდგრადი განვითარების დეტერმინანტები და მათი რაოდენობრივი შეფასების ერთ მაჩვენებელში გამოსახვა
- გადასახადების რაოდენობათა შემდგომი შემცირება. მათი დაყვანა ერთ გადასახადამდე. მითი თუ რეალობა ?
- ეკონომიკის მდგრადი განვითარების საგადასახადო ტვირთის ფორმირების შესაძლო საზღვრები და ზოგიერთი ინდიკატორი.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით აქტუალური პრობლემების შესწავლა - გაანალიზებას ეძღვნება წინამდებარე კვლევა.

თავი1.საგადასახადო პარადიგმა და მისი თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 საგადასახადო პარადიგმის ცნება და გადასახადების როლი მის უზრუნველყოფაში

საგადასახადო პარადიგმა ესაა - იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს სახელ-მწიფო გადასახადებთან დაკავშირებულ, შეთანხმებულ ჩარჩო მოდელს, რომლის ფარგლებშიც ოპერირებენ მეცნიერები. საგადასახადო პარადიგმის საფუძველზე განისაზღვრება, საზოგადოებრივი განვითარების მიღწეული ეტაპისათვის, გადასახადების სფეროში არსებული ცოდნის მოცულობა, საკვლევი პრობლემის ბუნება. გადასახადების განაკვეთებისა და საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურო-ბასთან დაკავშირებული კვლევის შესაბამისი მეთოდების არჩევა.

საგადასახადო პარადიგმის კვლევა ორ კონცეპტუალურ მიდგომას დავუქვემდებარე, პირველი, ეს არის ეკონომიკის მდგრადი განვითარება და მისი კორელაცია გადასა-ხადებთან. ამასთან, მდგრადი განვითარების კომპონენტების (მშპ, სოციალური პროგრესი და ეკოლოგიური მდგო-მარეობა) და გადასახადების ურთიერთკავშირის კვლევა დავუქვემდებარე ისეთ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს როგორიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. მეორე, კვლევები დაკავშირებული ოპტიმალურ საგადა-სახადო ტვირთთან და საგადასახადო ტვირთის შემდგომ გამარტივებასთან. ამ მიზნით, ამჟამად არსებული ექვსი გადასახადის ნაცვლად ერთი გადასახადის შესაძლო შემოღების მიზანშეწონილობის განხილვა. გადავწყვიტე

გამომეკვლია თუ როგორ კორელაციურ დამოკიდებულებაშია მშპ და წმინდა შიდა პროდუქტი. ეს უკანასკნელი მიაჩნიათ რომ შინაარსობრივად უკეთ ახასიათებს მოსახლეობის კეთილდღეობას ვიდრე მშპ. კვლევამ გვიჩვენა, რომ მშპ და წმინდა შიდა პროდუქტი იმდენად მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რომ სამომავლო კვლევა ჩავატარე მშპ-თი და არა წმინდა შიდა პროდუქტით.

ეკონომიკის მდგრადი განვითარება ამჟამად მსოფლიოში კაცობრიობის გადარჩენის ძირითად პრიორიტეტად არის აღიარებული. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის და ეროვნული თანხმობის მიღწევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად გვესახება. ეკონომიკის მიზანი არის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, რომლის მიღწევაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია ოპტიმალურად განსაზღვრულ გადასახადებს, რაც თავის მხრივ საზოგადოების მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევის მნიშვნელოვანი ბერკეტია. ,,ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ მოულოდნელად რატომ დადგა ფინანსური კრიზისი, მდგომარეობს იმაში, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თანამედროვე მაჩვენებელთა სისტემა არასრულყოფილია და ბაზრის მონაწილეები და მთავრობა არ იყო ორიენტირებული განსაკუთრებით ადეკვატურ მაჩვენებელზე.'' (Stiglitz,2009). მოცემული ამონარიდი მოტანილია საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნ.სარკოზის ინიციატივით შექმნილი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებისაგან შემდგარი კომისიის მიერ 2009 წელს გაკეთებული ანგარიშიდან, რომელსაც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოსეფ სტიგლიცი ხელმძღვანელობდა. ამჟამად, გამოყენებული სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც

ახასიათებს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის სურათს სრულად ვერ ასახავს ზემოაღნიშნულ სფეროებში შექმნილ რეალურ სიტუაციას და აქედან გამომდინარე, როგორც მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გვიჩვენა საკმარისი არ არის კრიზისების (ან სხვა ანომალიების) პროგნოზირებისა და მით უფრო მდგრადი განვითარების მიმართულებების სწორად დახასიათებისათვის. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების ახალი, ინოვაციური მაჩვენებლების შემუშავების აუცილებლობის საკითხი. ამ თვალსაზრისით, ზემოაღნიშნული მოხსენება მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოდგა. სწორედ ამის გამო განიხილეს იგი გაეროში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია ეგრეთწოდებული „ოცეული'' ქვეყნის ლიდერების მიერ გაკეთებული ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეფასების აუცილებლობის შესახებ. მოცემული გადაწყვეტილების პასუხად შეიძლება ჩავთვალოთ 2010 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილება „აშშ-ს მოქალაქეთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე მონაცემთა შეგროვების მიზნით მნიშვნელოვან ეროვნულ მაჩვენებელთა სისტემის შემუშავების შესახებ''.

ჯ. სტიგლიცის კომისიის მიერ შედგენილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მართალია მთლიანი შიდა პროდუქტი კარგად ახასიათებს საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობას, მაგრამ მას ვერ გამოვიყენებთ კეთილდღეობის დახასიათების ერთადერთ კრიტერიუმად, მით უფრო, გარემოში ცვლილებების მახასიათებელ პარამეტრად და

მდგრადი ეკონომიკური განვითარების ტენდენციების დახასიათების ერთადერთ ინდიკატორად. ყოველივე ზემოაღნიშნულის მტკიცებად მიგვაჩნია 2010 წლის აპრილში ეკონომიკური ზრდის კონცეფციის გაფართოების აუცილებლობაზე ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების განაცხადი, როგორებიცაა: ეკონომიკური თანამშრომლობისა და გავნვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი. მოცემული განაცხადის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებელი უნდა შეივსოს ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: დასაქმება, მოსახლეობის ცხოვრების სოციალური პირობები და არსებული გარემო.

მანამ სანამ ძირითადი ინდიკატორების საფუძვლიან განხილვას შევუდგებით, დავსვათ ერთი ტრივიალური კითხვა: ეკონომიკის მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს საგადასახადო შემოსავლების სტაბილური ზრდა თუ პირიქით, სტაბილურმა და მოქნილმა საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება? ჩემი პასუხი დასმულ კითხვაზე შემდეგია: ორივე ფაქტორი ერთმანეთზეა დამოკიდებული და სასურველი საბოლოო შედეგების მიღება შესაძლებელია მათი მჭიდრო კორელაციის პირობებში.

განვიხილოთ თუ როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია ქვეყნის მშპ-სა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მაჩვენებლები.

როგორც ცნობილია, მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება – მოვლენებისა და პროცესების ისეთი კავ-

შირია, რომლის დროსაც ერთ-ერთის ცვლილება - მიზეზი - იწვევს მეორის ცვლილებას - შედეგს. ჩვენს შემთხვევაში გვინდა ვაჩვენოთ თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს მთლიან შიდა პროდუქტსა და საბიუჯეტო გადასახადების მაჩვენებლებს შორის.

მთლიანი შიდა პროდუქტისა და საბიუჯეტო შემოსავლების მაჩვენებლების მიზეზ-შედეგობრივი კავშირ-ურთიერთობების განსაზღვრისათვის ჩვენ გამოვიყენებთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდს და მის საფუძველზე ვაჩვენებთ კავშირის ფორმებსა და რაოდენობრივ დახასიათებას ერთფაქტორიანი რეგრესიის მოდელების გამოყენებითა და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა დახმარებით. კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად:

- მშპ-სა და საბიუჯეტო შემოსავლებზე სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული ინფორმაციის შეგროვება;
- მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების გადაყვანა 2003 წლის მუდმივ ფასებში;
- კავშირის ფორმის ამორჩევა;
- მოდელის პარამეტრების მოძებნა;
- მიღებული შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშრის ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი მათგანი შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე სხვა მაჩვენებლის ნამრავლის ან ჯამის სახით.

ავაგოთ ცხრილი მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების მონაცემებით 2005-2012 წლების მიხედვით.

ცხრილი N1

მშპ -სა და საბიუჯეტო გადასახადების მონაცემები 2005-2012 წწ

წელი	მშპ მლრდ. ლარი მიმდინარე ფასებში (X)	საგადასახადო შემოსავლები მიმდინარე ფასებში მლრდ.ლარი (y)	მშპ 2003 წლის (მუდმივ ფასებში) მლნ. ლარი (X)	საგადასახადო შემოსავლები 2003 წლის (მუდმივ ფასებში) მლნ. ლარი (y)
2005	11.6	2.4	9935.6	1473.3
2006	13.8	3.1	10868.0	1575.7
2007	17	4.4	12208.8	1847.5
2008	19.1	5.8	12491.4	1857.9
2009	18	5.3	12019.7	1825.7
2010	20.7	5.8	12771.3	1848.9
2011	24.2	6.8	13687.5	2037.1
2012	26,1	6,7	14524.5	2190.3

საგადასახადო შემოსავლები 2003 წლის ფასებში ვიანგარიშეთ შემდეგნაირად: გადასახადები პროდუქციაზე მიმდინარე ფასებში შევაფარდეთ პროდუქციაზე გადასახადებთან მუდმივ ფასებში და მივიღეთ დეფლატორი. საგადასახადო შემოსავლების აღნიშნულ დეფლატორზე გაყოფით მივიღეთ შემოსავლების მნიშვნელობები 2003 წლის ფასებში. ამ ორი მაჩვენებლის კავშირის შესასწავლად გამოვიყენეთ კორელაციურ-რეგრესიული გაანგარიშებანი, რომლის საფუძველზეც მივიღეთ, რომ კორელაციის კოეფიციენტი უდრის 0.9905, რაც საკმაოდ მაღალი ნიშნულია, ანუ ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია შემოსავლების ზრდასთან.

როგორც ვიზუალურად ჩანს (იხ. გრაფიკი 1), საქართველოს მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლებს შო-

რის დამოკიდებულება ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მოცემულ შემთხვევაში წყვილადი კორელაცია წრფივი ფორმისაა.

გრაფიკი 1

საქართველოს მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების კორელაციის მახასიათებელი გრაფიკი



გრაფიკი გვიჩვენებს ამ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებას (კავშირი სწორხაზოვანია ანუ – მაჩვენებელთა ურთიერთგადამკვეთი წერტილები მიახლოებით ან ფაქტიურად სწორ ხაზზეა განლაგებული). შესაბამისად, ურთიერთკავშირის ანალიზური ფორმა წრფივი ფუნქციით გამოისახება ანუ $\overline{y_x} = a_0 + a_1 x$.

ფუნქციის ამოსახხსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობები. მიღებული გაანგარიშებები გადავამოწმეთ სტატისტიკური პროგრამის - SPSS- ის დახმარებით.

ცხრილი N2

საქართველოს მშპ -სა და საგადასახადო შემოსავლების მონაცემების ურთიერთდამოკიდებულების გაანგარიშების დამხმარე ცხრილი[1]

	საგადა-სახადო შემო-სავლები –2003 წლის ფასებში მლნ. ლარი (x)	მშპ–2003 წლის ფასებში მლნ.ლარი (y)	(xy)	$(x-\bar{x})$	$(x-\bar{x})^2$	$(y-\bar{y})$	$(y-\bar{y})^2$	(X^2)
2005	1473.347	9935.618	14638609	-358.721899	128681.4	-2377.73	5653588	2170750
2006	1575.689	10867.97	17124540	-256.379893	65730.65	-1445.37	2089104	2482794
2007	1847.526	12208.85	22556160	15.4573204	238.9288	-104.498	10919.93	3413352
2008	1857.895	12491.37	23207644	25.8263947	667.0027	178.02	31691.13	3451773
2009	1825.737	12019.72	21944848	-6.33135853	40.0861	-293.626	86216.06	3333316
2010	1848.94	12771.32	23613394	16.8712436	284.6389	457.9707	209737.2	3418578
2011	2037.139	13687.47	27883286	205.070669	42053.98	1374.127	1888226	4149936
2012	2190.276	14524.45	31812559	358.207523	128312.6	2211.107	4888994	4797309
ჯამი	14656.55	98506.76	1.83E+08	4.5475E-13	366009.3	1.09E-11	14858475	27217808

[1] ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

სადაც,

$$\overline{xy} = \frac{\Sigma xy}{n}, \quad \overline{x} = \frac{\Sigma x}{n}, \quad \overline{y} = \frac{\Sigma y}{n}, \quad \sigma_x = \sqrt{\frac{\Sigma (x-\overline{x})^2}{n}};$$

$$\sigma_y = \sqrt{\frac{\Sigma (y-\overline{y})^2}{n}}$$

ანუ ჩვენი მონაცემებიდან მივიღეთ, რომ

$$\overline{xy} = \frac{\Sigma xy}{n} = 22847630$$

$$\overline{x} = \frac{\Sigma x}{n} = 1832.068$$

$$\overline{y} = \frac{\Sigma y}{n} = 12313.35$$

$$a_0 = \overline{y} - a_1 \overline{x} = 751.0664$$

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\overline{x^2} - (\overline{x})^2} = 6.311052$$

ამდენად, განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\overline{y_x} = 751.0664 + 6.311052X$$

ამ განტოლების მეშვეობით ვიპოვეთ მოსწორებული (ŷ) დონეები, რაც ცხრილის სახით ასე გამოიყურება:

ცხრილი N3

მშპ და მისი მოსწორებული დონეები [2]

წელი	მშპ–2003 (y)	(ŷ)
2005	9935.618	10049.43
2006	10867.97	10695.32
2007	12208.85	12410.9
2008	12491.37	12476.34
2009	12019.72	12273.39
2010	12771.32	12419.82
2011	13687.47	13607.56
2012	14524.45	14574.01
ჯამი	98506.76	98506.76

მოსწორებული დონეების ჯამი ($\sum \hat{y}$) უდრის 98506.76-ს, ემპირიული დონეების ჯამიც ($\sum y$) 98506.76-ის ტოლია. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა)

$$\sum (y - \hat{y})^2 = (98506.76 - 98506.76)^2 = 0.$$

ეკონომიკური მოვლენების ეფექტური ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. არსებობს სიმჭიდროვის ხარისხის შეფასების რამდენიმე სახის კორე-

[2] ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ლაციის კოეფიციენტი: კორელაციის წრფივი კოეფი-ციენტი, ფეხნერის კოეფიციენტი, სპირმენის რანგების კორელაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციის კოეფიცი-ენტი, დ. იულას ასოციაციის კოეფიციენტი, კ. პირსონის კონტინგენციის კოეფიციენტი, ემპირიული და თეო-რიული კორელაციის დამოკიდებულება და სხვა, მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც მერყეობს (-1 დან +1 მდე). კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დადგენა გულისხმობს, გაზომოს, თუ როგორ მოქმედებს საშედეგო მოვლენის განვითარებაზე ანუ ვარიაციის ცვლილებაზე მიზეზობრივი ფაქტორის (წყვილადი კორელაცია) ან ფაქტორების (მრავლობითი კორელაცია) ვარიაციული ცვალებადობანი.

წრფივი კავშირის შემთხვევაში, კორელაციის სიმჭ-იდროვის ხარისხს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიხასი-ათებს კორელაციის წრფივი კოეფიციენტი (გაბიძაშვილი, 2011), რომელიც შემუშავებულ იქნა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ინგლისელი სტატისტიკოსის, ბიოლოგისა და ფილოსოფოსის კარლ პირსონის (1857-1936 წწ) მიერ. კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$r = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\sigma_x \sigma_y}$$

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით, სადაც x - საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მო-ცულობაა, ხოლო y - საგადასახადო შემოსავლების მაჩ-ვენებელი, ეს მონაცემები შეადგენს:

$$\overline{xy} = \frac{\Sigma xy}{n} = 22847630; \qquad \bar{x} = \frac{\Sigma x}{n} = 1832.068;$$

$$\bar{y} = \frac{\Sigma y}{n} = 12313.35$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\Sigma(x-\bar{x})^2}{n}} = 213.8952; \qquad \sigma_y = \sqrt{\frac{\Sigma(y-\bar{y})^2}{n}} = 1362.831$$

კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x}\cdot\bar{y}}{\sigma_x \sigma_y} = 0.990514$$

გაანგარიშებებმა გვიჩვენეს, რომ კორელაციის კოეფიციენტი (0.9905), საკმაოდ მაღალია, რაც მიუთითებს იმას, რომ ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია შემოსავლების ზრდასთან.

მსოფლიოს სტატისტიკური აღრიცხვის თეორიასა და პრაქტიკაში მიჩნეულია, რომ თუ კოეფინიენტის მნიშვნელობა 0-დან 0.3-მდეა - კავშირი სუსტია, 0.3-დან 0.6-მდე-ზომიერია, ხოლო თუ 0.6-დან 1-მდეა, მაშინ კავშირი ძლიერია. ჩვენს მაგალითზე კორელაციის წრფივი კოეფიციენტი r = 0.99-ის ტოლია, რაც ძალიან ძლიერია და პროცენტებში 99%-ია, ამრიგად, მთლიან შიდა პროდუქტსა და საგადასახადო შემოსავლის მაჩვენებელს შორის მჭიდრო კორელაციური კავშირია. ზემოაღნიშნული მჭიდრო კორელაციური კავშირი სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია საქართველოს საგადასახადო სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლის მიხედვითაც გადასახადების რაოდენობა შემცირდა 21-დან 6-მდე (2004-2008), ასევე შემცირდა ზოგიერთი საგადასახადო განა-

კვეთი. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ამჟამად მოქმედებს ექვსი გადასახადი, მათ შორის, 5 საერთო-სახელმწიფოებრივი და 1 ადგილობრივი გადასახადია.

1. დამატებული ღირებულების გადასახადი;
2. საშემოსავლო გადასახადი;
3. მოგების გადასახადი;
4. აქციზი
5. ქონების გადასახადი;
6. იმპორტის გადასახადი.

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესწორებების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო სფეროში. კერძოდ, 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (2008 წ - 25%; 2009 წლიდან - 20%), ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15%-მდე. გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე დღეისათვის შეადგენს 5%-ს ნაცვლად 2005 წელს არსებული 10%-სა. გარდა ამისა, საქართველოში დაინერგა მნიშვნელოვანი პროცედურული და ინსტიტუციური სიახლენი, საგადასახადო დავების განხილვის გამარტივებული სისტემა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისათვის. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის შემდგომი ლიბერალიზაცია.[3]

ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა ნდობის ამაღლებას საქართველოს საგადასახადო სისტემისადმი. 2014 წლისთვის

---

[3] http://www.economy.ge

იგეგმება გადასახადების გაუქმება დივიდენდებსა და საპროცენტო განაკვეთებზე. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გათვალისწინებულია გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმები.[4] ყოველივე ზემოაღნიშნულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას ისეთი განზოგადებული მაჩვენებლის მიხედვით, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც 1996 წლის მუდმივ ფასებში 2005 წელს 6,6 მლრდ ლარიდან 2012 წელს 9,6 მლრდ ლარამდე გაიზარდა. მოცემული მაჩვენებელი 2005-2012 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მუდმივ ფასებში 2,4 %-ით იზრდებოდა. ასევე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება საბიუჯეტო შემოსავლებიც. კერძოდ, მისი მოცულობა 2005-2012 წწ, 1996 წლის მუდმივ ფასებში საშუალოდ ყოველწლიურად 2,5%-ით იზრდებოდა.

როცა მდგრადი განვითარების ახალ, ინოვაციურ კრიტერიუმებზე ვმსჯელობთ და როდესაც კონკრეტულად საკითხი ეხება ცხოვრების დონის შეფასებას, ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, გაანგარიშებებს წმინდა საფუძველზე, უპირატესობა აქვთ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, რომლებიც იანგარიშება მთლიან საფუძველზე (Stiglitz,2009). როგორც ვიცით, მთლიან საფუძველზე გაანგარიშებულ მთლიან შიდა პროდუქტს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის ცვეთის ღირებულება გვაძლევს მთლიან წმინდა პროდუქტს. რატომ ანიჭებენ უპირატესობას მთლიან შიდა პროდუქტს წმინდა შიდა პროდუქტთან შედარებით? იმიტომ რომ ძირითადი კაპიტალის ცვეთის ღირებულების სიდიდე ძნელად

[4] http://www.mfa.gov.ge

დასათვლელია. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ როგორც დასავლეთის, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ცვეთის ღირებულების სიდიდის დასათვლელად იყენებენ მარტივ წესს. თუ მაგალითად, მანქანათმშენებელი ჩარხი თავისი მონაცემებით გამიზნულია 10 წლის მანძილზე ემსახუროს წარმოებას და წელიწადში ცვდება 10 პროცენტით, ამორტიზაციის ყოველწლიური ღირებულება ტოლი იქნება 1/10 ნაწილის. თუმცა, ეკონომიკაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების კვალობაზე მოცემული წესი ამორტიზაციის გაანგარიშებისათვის არ გამოდგება. მაგალითად, ავიღოთ კომპიუტერები და სხვა სახის ინფორმაციული ტექნოლოგიები. ისინი უფრო სწრაფ ცვეთას განიცდიან ვიდრე მანქანათმშენებლობაში მოქმედი ჩარხები. ბუნებრივია, კომპიუტერებისა და მისი მსგავსი ტექნიკის საქმიანობის მოსალოდნელი ვადა გაცილებით მცირეა, ვიდრე მძიმე მრეწველობის პროდუქციის. ბუნებრივია, მოცემული მაგალითის მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი განსხვავებული იქნება ვიდრე წმინდა შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი. მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზრდება უფრო სწრაფად ვიდრე წმინდა შიდა პროდუქტი. ყოველივე ზემოაღნიშნული განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე და ვაჩვენოთ, თუ როგორ კორელირებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლები ერთმანეთთან. ამისათვის გამოვიყენოთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

ცხრილი N4

მშპ -სა და წმინდა შიდა პროდუქტის მონაცემები 2005-2011 წწ [5]

წელი	მშპ მლრდ. ლარი მიმდინარე ფასებში (X)	წმინდა შიდა პროდუქტი მლრდ.ლარი(y)
2005	11.6	10,5
2006	13.8	12,5
2007	17	15,4
2008	19.1	17,3
2009	18	16,2
2010	20.7	18,6
2011	24.2	21,6

ამ მონაცემების გრაფიკული გამოსახულებიდანაც ჩანს, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის კავშირი წრფივი სახით ხასიათდება.

[5] ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

გრაფიკი N 2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა შიდა პროდუქტის ურთიერთკავშირის გრაფიკი 2005-2011 წწ



შესაბამისად, ურთიერთკავშირის ანალიზური ფორმა აქაც წრფივი ფუნქციით გამოისახება ანუ $\overline{y_x} = a_0 + a_1 x$.

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრებს.

ცხრილი N 5

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა შიდა პროდუქტის ურთიერთკავშირის ამოსახსნელი დამხმარე ცხრილი 2005-2011 წწ [6]

	(x)	(y)	(xy)	$(x-\bar{x})$	$(x-\bar{x})^2$	$(y-\bar{y})$	$(y-\bar{y})^2$	(X^2)	$(\hat{y})$
2005	11.6	10.5	121.8	-6.88571429	47.41306	-5.51429	30.40735	134.56	10.05048
2006	13.8	12.5	235	0.31428571	0.098776	-3.51429	12.3502	353.44	16.28649
2007	17	15.4	261.8	-0.48571429	2.207347	-0.61429	0.377347	289	14.72749
2008	19.1	17.3	330.43	0.61428571	0.377347	1.285714	1.653061	364.81	16.54633
2009	18	16.2	291.6	-0.48571429	0.235918	0.185714	0.03449	324	15.5936
2010	20.7	18.6	385.02	2.21428571	4.903061	2.585714	6.685918	428.49	17.93211
2011	24.2	21.6	522.72	5.71428571	32.65306	5.585714	31.2002	585.64	20.9635
ჯამი	129.4	112.1	2148.37		87.88857		82.70857	2479.94	112.1

ამ მონაცემებიდან გამომდინარე ვღებულობთ:

$$\overline{xy} = \frac{\Sigma xy}{n} = 306,91;$$

$$\bar{x} = \frac{\Sigma x}{n} = 18,48571;$$

$$\bar{y} = \frac{\Sigma y}{n} = 16,01429;$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\Sigma(x-\bar{x})^2}{n}} = 3,543376;$$

[6] ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

$$\sigma_y = \sqrt{\frac{\Sigma(y-\overline{y})^2}{n}} = 3{,}43737;$$

$$a_0 = \overline{y} - a_1\overline{x} = 0{,}003569;$$

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \overline{x}\cdot\overline{y}}{\overline{x^2} - (\overline{x})^2} = 0{,}866113;$$

ამდენად, განტოლება მიიღებს სახეს:

$$\overline{y_x} = 0{,}003569 + 0{,}866113\ X$$

მოსწორებული დონეების ჯამი ($\sum \hat{y}$) უდრის 112,1 -ს, ემპირიული დონეების ჯამიც ($\sum y$) ტოლია 112,1-ის. ს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა).

$$\sum (y - \hat{y})^2 = (112{,}1 - 112{,}1)^2 = 0.$$

შესაბამისად, კორელაციის წრფივი კოეფიციენტი იქნება:

$$r = \frac{\overline{xy} - \overline{x}\cdot\overline{y}}{\sigma_x \sigma_y} = \frac{306.91 - 18.48571 * 16.01429}{3.543376 * 3.43737} = 0{,}892823$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი r = 0.89-ის ტოლია, რაც ასევე ძალიან ძლიერია, როგორც წინა შემთხვევაში და პროცენტულად 89%-ია. ეს მიუთითებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და წმინდა შიდა პროდუქტს შორის მჭიდრო კორელაციურ კავშირზე.

გაკეთებული დასკვნის მიუხედავად, როგორც ძირითადი კაპიტალის ცვეთის მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, მათი ცვეთის ყოველწლიური პროცენტული მაჩვენებლები თითქმის ერთნაირია. რაც მეტად საეჭვოა და დამატებით სპეციალური კვლევების ჩატარებას საჭიროებს ეკონომიკის ცალკეული დარგების სპეციფიკისა და ეკონომიკაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით.

მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად მატერიალური ცხოვრების დონის დახასიათებისათვის უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ შემოსავლის, მოხმარებისა და სიმდიდრის მაჩვენებლებს. მეორე რიგის მაჩვენებელთა ნუსხას მიეკუთვნება ცხოვრების ხარისხის მახასიათებელი ინდიკატორები. კერძოდ, ისეთი ინდიკატორები როგორიცაა:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განათლების მიღების შესაძლებლობა;
- საზინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები;
- ფინანსური პრობლემები;
- სტაბილური სამუშაო და შრომითი პირობები;
- ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ფიზიკური უსაფრთხოება;
- ნათესავებთან, კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობები.

მესამე რიგის მაჩვენებლებს უნდა მივაკუთვნოთ ეკოლოგიური კვალის მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს საერთო სივრცეს და აუცილებელია კვების პროდუქტების და სხვა საქონლის წარმოებისა და მოხმარე-

ბისათვის, ნარჩენების უტილიზაციისა და ტერიტორიების ინფრასტრუქტურის ელემენტებით (განაშენიანების ზონები) უზრუნველყოფისათვის.

მდგრადი განვითარების ერთ განზოგადებულ მაჩვენებელში გამოსახვა ერთობ რთული მეთოდოლოგიური ხასიათის სამუშაოა, რომელზედაც ამჟამად დიდ ძალისხმევას მიმართავენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენი აზრით, მოცემული ნაერთი ინდიკატორი უნდა ავაგოთ დაახლოებით ისე, როგორც ააგეს ჰუმანური განვითარების ინდექსი. ამრიგად, მდგრადი განვითარების ნაერთ ინდექსს შემდეგი სახე ექნება:

$$E_{SD} = \sqrt[3]{E_{EC} \times E_S \times E_{EN}} \qquad (1)$$

სადაც:

E_{EC} - ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_S - სოციალური ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_{EN} - გარემოს მახასიათებელი ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_{SD} - მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსია

ჩვენს მიერ მოტანილ ფორმულაში მოცემულია მცდელობა, მოვახდინოთ მდგრადობის რაოდენობრივი შეფასება, თუმცა მდგრადობა ასე ცალსახად რთულად გასაზომი დეფინიციაა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთ ინდექსში უნდა გამოვსახოთ ცალკეული მაჩვენებელთა შრეების მიხედვით როგორც მონეტარული, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები. მდგრადობაში შემავალი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის და ეკოლო-

გიური გარემოს მახასიათებელი მაჩვენებლები საჭიროა ვიანგარიშოთ ცალ-ცალკე და შემდგომ მოვახდინოთ მდგრადობის ერთ მაჩვენებლად გამოსახვა. დაახლოებით ისე, როგორც ანგარიშობენ ადამიანური განვითარების ინდექსს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მდგრადობის დახასიათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ეკოლოგიური კვალი. მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის საინტერესო ვარიანტი შესთავაზა მსოფლიოს ეკონომიკურ საზოგადოებას ფრანგმა მკვლევარებმა (კ.პლატო და სხვ.). მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, როგორიც არის კლიმატის ცვლილება, დღეისათვის თითოეული ქვეყნისათვის იქცა გლობალური მასშტაბის პრობლემად და მისი ამჟამინდელი მდგომარეობა რეალურ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს თითოეული ქვეყნის მდგრად განვითარებას, ბუნებაში მავნე გამონაბოლქვებს და მათ გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში ხომ არ გააჩნია არც ეკონომიკური და არც საბაჟო საზღვრები. მსოფლიოში კლიმატის შეცვლის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის „ნახშირჟანგის კვალი'', იგი შეტანილი არის უმეტესი ქვეყნის მიერ მდგრადი განვითარების მახასიათებელ ერთ-ერთ საბაზო ინდიკატორად. ქვეყნის ეკოლოგიური კვალი (მოთხოვნის თვალსაზრისით) წარმოადგენს კვების პროდუქტების, ქსოვილის და ხე-ტყის წარმოებისათვის საჭირო სივრცეს, რომელსაც იგი მოიხმარს, ნარჩენების უტილიზაციისათვის და ინფრასტრუქტურის ელემენტების ტერიტორიის უზრუნველყოფისათვის (განაშენიანების ზონები). მიწოდების თვალსაზრისით ბიო-სივრცე განიხილება როგორც ბიო-სფეროს წარმოებითი მოცულობა და მისი უნარი უზრუნველყოს ბიოლოგიური რესურსებისა

და მომსახურების ნაკადები, რომელიც საჭიროა ადამიანთა სარგებლისათვის. ამგვარად განმარტეს ეს ცნება დენიელ მორანმა და მატის ვაკერნეიგელმა.

1985 წლიდან მოყოლებული კაცობრიობის ეკოლოგიური კვალი გახდა მეტი ვიდრე პლანეტის საერთო (ბიოლოგიური) ტევადობა, ხოლო 2003 წელს ეკოლოგიურმა კვალმა გადააჭარბა დედამიწის, პლანეტის ბილოლოგიურ მოცულობას დაახლოებით 25 პროცენტით, ე.ი. ჩვენი ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, დამატებით გვჭირდება ჩვენი პლანეტის ¼, იმ დროს როდესაც მსოფლიოში მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 1,8 ჰექტარი, ევროპელები იყენებენ 4,9 ჰექტარს, ხოლო ჩრდილო-ამერიკელები 2-ჯერ მეტს, რაც მნიშვნელოვნად ჭარბობს მოცემული ორი გეოგრაფიული ზონის ფაქტობრივ ბიომოცულობას. (Плато, 2011). დავუბრუნდეთ ისევ საფრანგეთის მაგალითს, ნახშირჟანგის კვალი ზომავს ნახშირჟანგის გამონაბოლქვს არა საწარმოებში წარმოებული პროდუქციის მოცულობიდან გამომდინარე, არამედ სამომხმარებლო ბაზრის პროდუქტებზე შინამეურნეობების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, საუბარია პროდუქტების შეძენაზე გლობალური ეკონომიკის თვალსაწიერით. ასეთი გაანგარიშება ითვალისწინებს გაიზომოს ნახშირჟანგის ატმოსფეროში გამოყოფა არამხოლოდ საფრანგეთში წარმოებული პროდუქციის არამედ ,,დანარჩენი მსოფლიოს'' თვალსაწიერითაც. ნახშირჟანგის კვალის გაანგარიშება საბოლოო მოხმარების მოცულობის მიხედვით აჩვენებს, რომ საგარეო-სავაჭრო ბრუნვის გათვალისწინებით საშუალოდ ერთ ფრანგზე ნახშირჟანგი მოდის წელიწადში 9 ტონა და არა 6,7 ტონა, როგორც ამას აჩვენებდა გაანგარი-

შებები საფრანგეთის ეროვნულ ტერიტორიაზე პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლები.

მდგრადი განვითარების ზოგადი კონცეფციის გაცნობის შემდეგ საჭიროა შევიმუშავოთ წინადადებები როგორი ზემოქმედება შეუძლია გადასახადებს საზოგადოების მდგრად განვითარებასა და კეთილდღეობაზე, საჭიროა მოცემული საკითხის შესწავლა ისეთი მთავარი თეზის განმეორებით, რომელიც უკვე ყველამ აღიარა. ეს არის საკითხი თუ რას დავუტოვებთ მომავალ თაობებს. ასევე გაგვაჩნია კი ყველა სახის რესურსების საკმარისი რაოდენობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვუზრუნველყოთ შესაძლებლობათა ისეთი ნაკრებით მომავალი თაობები, რომელსაც ამჟამად ფლობს ჩვენი თაობა. მდგრადი განვითარების დეფინიციაში შემავალი სამი ძირითადი კომპონენტიდან განვიხილოთ ეკონომიკის მდგრადი განვითარება და მისი უზრუნველყოფისათვის საჭირო გადასახადების განახლების საჭიროება უახლოეს მომავალში. როგორც ცნობილია, წარმოებისა და შესაბამისად გადასახადების ახალმა, საერთაშორისო, საკლასიფიკაციო სისტემამ ეროვნულ ანგარიშთა სისტემამ და მისმა 2008 წლის ვერსიამ არსებითი ცვლილებები 1993 წლის ვერსიასთან შედარებით მართალია არ შემოგვთავაზა, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ წარმოების ძირითადი საზღვრები და ეკონომიკური ოპერაციების გაწერა ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით.

საგადასახადო პარადიგმის გაგებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგადასახადო ტვირთი. საქართველოში საგადასახადო ტვირთთან დაკავშირებით მხედველობაშია როგორც კონცეპტუალური, ისე მისი ტერმინოლოგიური

განმარტება, ერთიანი მიდგომა დღემდე არ არსებობს. ,,საგადასახადო ტვირთის'' სინონიმად განიხილება ,,საგადასახადო წნეხი''. საგადასახადო ტვირთი (წნეხი, დაბეგვრის კოეფიციენტი) _ ქვეყნის ჯამური საგადასახადო შემოსავლების ფარდობაა მთლიან შიდა პროდუქტთან, გამოხატული პროცენტებში. სწორედ გადასახადების მეშვეობით ახდენს სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, რადგანაც იგი წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ძირითად ინსტრუმენტს. საგადასახადო ტვირთი იანგარიშება როგორც ქვეყნისათვის მთლიანად, ასევე მას ანგარიშობენ ინსტიტუციური ერთეულების (კორპორაცია, საწარმო) მიხედვით.

საგადასახადო ტვირთზე პირველი შეხედულებები უკავშირდება ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეს, როდესაც ადამ სმიტმა თავის ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხის სიმდიდრის მიზეზებსა და ბუნებაზე'' აღნიშნა, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირებით სახელმწიფო იგებს მეტს, სახსრების გამოთავისუფლებით შეიძლება მიღებულ იქნას დამატებითი შემოსავალი, რომლისგანაც ხაზინაში შევა გადასახადი.

ერთ-ერთი პირველი ვინც აღნიშნულ საკითხზე თავისი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა, იყო გერმანელი ეკონომისტი ფ. იუსტი (1705-1771). მან საგადასახადო ტვირთი მაკროდონეზე განმარტა როგორც ქვეყნის ბიუჯეტისა და ეროვნული შემოსავლის ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან იგი აღნიშნავდა, რომ ქვეყნის ბიუჯეტიდან არ უნდა დაიხარჯოს ეროვნული შემოსავლის 1/6-ზე მეტი.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდის პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც განვითარებადი ისე განვითარებული ქვეყნებისათვის. საგადასა-

ხადო სისტემების აგების მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან 30%-მდე ამოღება, ეს ის ზომაა, რომლის ზემოთაც ფაქტობრივად შეუძლებელია ეფექტური სამეწარმეო საქმიანობა, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს დაგროვებისა და ინვესტიციების შემცირება ეკონომიკაში. სხვა სიტყვებით, სახელმწიფომ გადასახადის გადამხდელისაგან არ უნდა ამოიღოს მისი შემოსავლების 1/3-ზე მეტი. (Жидкова Е.Ю, 2009)

საგადასახადო შემოსავლებისა და საგადასახადო განაკვეთების ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკული გამოსახულებაა ლაფერის მრუდი. ლაფერის მრუდის კონცეფციის არსი გამოიხატება დაბეგვრის ოპტიმალური დონის პირობებში, რომლის დროსაც საგადასახადო შემოსავლები აღწევენ მაქსიმუმს. მოცემული ურთიერთდამოკიდებულება გამოკვლეულია ამერიკელი მეცნიერის არტურ ლაფერის მიერ. (Kbiladze, 2016). 2014 წელს ამერიკულმა გამომცემლობა NOVA-მ ნიუ-იორკში გამოსცა ქართველი ეკონომისტების, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელის იური ანანიშვილის წიგნი – „ლაფერ-კენზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა“, რომელიც დაინტერესებულ სპეციალისტებსა და მკითხველებს დაეხმარება იმის ახსნასა და გარკვევაში, თუ რა როლს ასრულებს გადასახადები ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში. (თსუ მეცნიერება, https://www.tsu.ge/science/?leng=ge&jnomeri=6&lcat-=jurnal&tid=9)

ზოგადად აღიარებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გადასახადების (საგადასახადო ტვირთის) შემ-

ცირება იწვევს ინვესტიციების სტიმულირებას. აქ იგულისხმება მეწარმეობაზე, ხელფასზე და დივიდენდებზე საგადასახადო განაკვეთის შემცირება. საჭიროა საინვესტიციო პროცესს მიეცეს სტიმულირება, რაც გამოიწვევს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებით გამომუშავებას. თავიანთ მსჯელობებში მეცნიერები ეყრდნობიან რა ლაფერის იდეას, ასაბუთებენ, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირებისას, საბოლოო ანგარიშში იზრდება საგადასახადო ბაზა, მეტი პროდუქცია იძლევა მეტ გადასახადებს, მაღალი გადასახადები ამცირებენ საგადასახადო ბაზას და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. გადასახადის გადამხდელისაგან შემოსავლების მნიშვნელოვანი მოცულობის (40-50%) ამოიღება, ის საზღვარია, რომლის ზემოთაც მეწარმეობას ეკარგება სტიმული.

ამჟამად, მსოფლიოში საყოველთაოდ დადგენილი საგადასახადო ტვირთის განაკვეთი არ არსებობს. ლაფერის მრუდის კონცეფციის თანახმად, მეწარმეთა დამატებული ღირებულების 35-40%-ზე მეტის ამოღება პროვოცირებას უკეთებს ინვესტიციების არაეფექტიანობას გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

საგადასახადო ტვირთის განხილვისას ცხოვრების დონესთან მიმართებაში, ზოგადად თვლიან, რომ გადასახადის გადამხდელთა დამოკიდებულება საგადასახადო სისტემასთან ახასიათებს ამ სექტორში სახსრების განაწილებას მშპ-სთან მიმართებაში. გადასახადის გადამხდელთათვის მიმზიდველია დაბალი საგადასახადო ტვირთი (15%-მდე). თუმცა, სახელმწიფო ამ ზომის ტვირთის პირობებში ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას. მაღალგანვითარებული სახელმწიფოები ცდილობენ ასწიონ საგადასახადო შემოსულობების დონე, იმავდრო-

ულად ზრდიან მათ ეკონომიკაში და სოციალურ-კულ-ტურულ სფეროში დაბრუნებადობას. ეს ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ბიზნესის მდგომარეობისადმი ხელის შეწყობა. ამდენად მისი ოპტიმალური ზომის დადგენა მნიშვნელოვანი და ერთობ რთული მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემაა. მსოფლიოში დღემდე არ არსებობს საგადასახადო განაკვეთების ზომის განსაზღვრის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია, რაც ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის ფორმირების ამოსავალი თეზაა. (Kbiladze, 2015). გადასახადების ოპტიმალური განაკვეთის სიდიდეზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ცალკეული გადასახადის ორადი ბუნება. პირველი, ჩვენი აზრით, ეს არის საწარმოს დონეზე ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული სახეების საწარმოთა ტიპების (მცირე, საშუალო, მსხვილი) და მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და წარმოების ციკლის თითოეული ეტაპის მიხედვით (მასალებისა და ნედლეულის შეძენა, პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია) გადასახადების რეალური დონის განსაზღვრა რაც უჯდება საწარმოს, ხოლო მისი მეორე ნაწილი გადამეტებულად აკრებილი ან არარაციონალურად გამოყენებული ბეგარაა, რომელსაც სახელმწიფო მართვის ორგანოები იყენებენ სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო ისეთი ფუნქციების შესრულებისათვის, როგორიცაა სახელმწიფოს თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, განათლებისა და ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა და ა.შ. ასევე, სახელმწიფოთა გაერთიანებებში

(ევროკავშირი) თანამონაწილეობის ფაქტორის გათვალისწინება. ასე მაგალითად, რომელიმე ქვეყნის მაღალმა საგადასახადო განაკვეთებმა შეიძლება დააფრთხოს უცხოელი ინვესტორი და არ მოხდეს მოცემულ ქვეყანაში ახალი ინვესტიციების დაბანდება. პირიქით, საშუალოსთან შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთები უფრო მეტად იზიდავს უცხოელ ინვესტორებს. ამდენად, გადასახადის პირობითად გამოყოფილი პირველი ნაწილი ხმარდება ისევ ბიზნესის განვითარებას, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნის მოქალაქეთათვის კოლექტიური და ინდივიდუალური მომსახურების შეთავაზებას. გადასახადების ორადი ბუნებიდან გამომდინარე, მისი მოცულობის დაყოფა აუცილებელ ზეგარად და გადამეტებულ ზეგარად ერთობ რთული პროცედურაა. (ბასარია, ბასარია, 2012)

ახალი გადასახადების შემოღების განაკვეთების შემცირება-შემსუბუქების საკითხების განხილვა საზოგადოების მსჯელობის საგანია და შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ხელისუფლება ასეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას მოსახლეობის საყოვლთაო რეფერენდუმით აპირებს.

1.2 გადასახადების კავშირი შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მდგომარეობასთან

მანამ სანამ გადასახადების კავშირზე შევჩერდებით შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მდგომარეობასთან მიმართებაში, შევეცადოთ დავახასიათოთ ეკონომიკური წარმოების ციკლის რომელ ეტაპზე ხდება შემოსავლის ჩამოყალიბება. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების დეფინიცია ეფუძნება ჯ. ჰიკსის მიერ დასაბუთებულ კონცეფციას, მოცემული კონცეფციის თანახმად, შემოსავალი წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულის ფულადი რესურსების მაქსიმალურ თანხას, რომელიც ეკონომიკურმა სუბიექტმა შეიძლება გამოიყენოს საბოლოო მოხმარების საჭიროებისათვის. ამასთან, მთავარ მოთხოვნად ითვლება ის, რომ არ შემცირდეს მის საკუთრებაში არსებული კაპიტალის პირვანდელი ღირებულება და არ გაჩნდეს ფინანსური ვალდებულებები. [7]

ჩვენ წინა საკითხში ვისაუბრეთ ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონტურებზე და აღვნიშნეთ, რომ წარმოება მისი საწყისი ფაზაა. ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის გარკვევაში დაგვეხმარება ისეთი საერთაშორისო სტანდარტი, როგორიცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეასი). სწორედ ეას-ის ძირითადი საწყისი ანგარიში, წარმოების ანგარიში გვიჩვენებს თუ როგორ იქმნება შემოსავალი და როგორ ხდება მისი განაწილება და გადანაწილება ეკონომიკაში.

წარმოება ეას-ის მიხედვით წარმოადგენს საქმი-

---

[7] System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

ანობის სახეს, რომელიც ხორციელდება ინსტიტუციური ერთეულის მმართველობით, პასუხისმგებლობით და კონტროლით, რომელიც იყენებს შრომას, კაპიტალს, საქონელსა და მომსახურებას, საქონლისა და მომსახურების მისაღებად.[8]

წარმოების ანგარიში გვიჩვენებს წარმოებული პროდუქციის გამოშვებას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დანახარჯებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ სამი კონცეფცია.

პირველი, ესაა – წარმოების საზღვრების განსაზღვრის კონცეფცია;

მეორე – პროდუქციის გამოშვების შეფასების მეთოდები. სწორედ ამ ეტაპზე გვევლინება სხვადასხვა ტიპის გადასახადები და სუბსიდიები, რომელიც პროდუქტებსა და პროდუქციაზე შემოაქვს სახელმწიფო მართვის ორგანოებს. გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე;[9]

მესამე – მნიშვნელოვანი კონცეფცია დაკავშირებულია იმის ახსნასთან თუ წარმოების პროცესი როგორ ამატებს საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, ახალ ღირებულებას და ქმნის შემოსავალს.

პროდუქციის წარმოებისა და დანახარჯების შეფასებისას გამოიყენება ფასების რამოდენიმე სახე, რომელიც

---

8 System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

9 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 6, პ.1.

ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება გადასახადების და სუბსიდიების ასახვა პროდუქტებზე, იგივე ვრცელდება სატრანსპორტო ხარჯებზეც.

ახლა შევეცადოთ გავარკვიოთ თუ რა განსხვავებაა პროდუქტებზე გადასახადებსა და პროდუქციაზე გადასახადებს შორის. პროდუქტებზე გადასახადი იანგარიშება პროდუქტის ერთეულზე გაანგარიშებით, ეს შეიძლება იყოს პროდუქტის ფიზიკურ რაოდენობაზე ერთიანი განაკვეთი, ან გაყიდული პროდუქციის ღირებულებიდან გარკვეული პროცენტი. წარმოების სხვა გადასახადები, რომლითაც იბეგრება მწარმოებელი, არ ეკუთვნის პროდუქტებზე გადასახადს და ასეთი გადასახადებით არ იბეგრება საწარმოს მოგება. ასეთი გადასახადებია: წარმოების მიზნით გამოყენებული მიწის, შენობების და დაქირავებული სამუშაო ძალის გადასახადები. ანალოგიური წესით ხდება სუბსიდიების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელიც ეხება პროდუქტებსა და პროდუქციას. მოცემულ საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნას საჭიროა მივუსადაგოთ ჩვენი საგადასახადო კოდექსით განმარტებული ზემოაღნიშნული დეფინიცია.

ეას-ის მიხედვით, პროდუქციის გამოშვების დახასიათებისათვის იყენებენ ფასების ორ სახეს, ესენია: ძირითადი ფასები და მწარმოებლის ფასები.

ძირითადი ფასი ეს ის თანხაა, რომელიც ახასიათებს წარმოების პროცესში გამოშვებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას და როგორც წესი უნდა მიიღოს მწარმოებელმა მყიდველისაგან. მოცემულ თანხას უნდა გამოაკლდეს ნებისმიერი სახის გადასახადი რომელიც ექვემდებარება გადახდას და დაემატოს ნებისმიერი სახის სუბსიდია, რომელსაც ღებულობს მწარმოებელი. მოცე-

მული თანხიდან ითიშება ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ხარჯი.

მწარმოებლის ფასი ის თანხაა, რომელიც მყიდველმა საქონლის მწარმოებლისაგან უნდა მიიღოს გამოშვებული საქონლის და მომსახურების ერთეულზე. მოცემულ თანხას აკლდება ყველა სახის დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი. იგი არ მოიცავს სატრანსპორტო ხარჯებს, რომელსაც ცალკე ანგარიშფაქტურის სახით ადგენს მწარმოებელი.

ძირითადი ფასების, მწარმოებელთა ფასებისა და მყიდველის ფასების ურთიერთდამოკიდებულება ასახულია ქვემოთ მოტანილ სქემაზე.[10]

სქემა N1

ძირითადი ფასები
+
გადასახადები პროდუქტებზე გამოთიშული დარიცხული დღგ-დან
-
სუბსიდიები პროდუქტებზე
=
მწარმოებლის ფასები
+
დღგ, რომელიც არ არის გამოთიშული მყიდველის მიერ
+
სატრანსპორტო ხარჯები, წარდგენილი ცალკე ანგარიშფაქტურით
+
საწარმოს საბითუმო და საცალო ვაჭრობის დანარიცხი
=
მყიდველის ფასები

[10] System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვისათვის ეას-ის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშების აგებას, რომელიც თავისთავად სამ ჯგუფად იყოფა. ესენია:

1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები;
2. დაგროვების ანგარიშები;
3. აქტივებისა და პასივების ბალანსები

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები ახასიათებენ წარმოებას, შემოსავლების განაწილებას და გადანაწილებას, აგრეთვე ახასიათებენ განკარგვადი შემოსავლის საბოლოო მოხმარებაზე გამოყენებას. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებს მიეკუთვნება:

1. წარმოების ანგარიში
2. შემოსავლის განაწილებისა და გამოყენების ანგარიშები:

ა. შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშები;

ბ. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშები;

გ. შემოსავლების ნატურალურ ფორმაში განაწილების ანგარიშები;

დ. შემოსავლების გამოყენების ანგარიშები

დაგროვების ანგარიშები ახასიათებენ საანგარიშო პერიოდში წმინდა კაპიტალისა და აქტივებისა და პასივების ყველა ცვლილებას. დაგროვების ანგარიშებს მიეკუთვნება:

1. კაპიტალის ოპერაციების ანგარიში;
2. ფინანსური ანგარიში;
3. აქტივებში სხვა ცვლილების ანგარიში

აქტივებისა და პასივების ბალანსები ასახავენ აქტივებისა და პასივების მარაგებს. აგრეთვე მათ ცვლილებას პერიოდის საწყისი და საბოლოო მდგომარეობის მიხედვით.

ახლა ვეცადოთ ანგარიშების მაჩვენებელთა შემადგენ-

ლობა ავსახოთ თანმიმდევრობით ურთიერთკავშირში მოტანილი სქემის მიხედვით.[11]

ეას-ის ძირითადი ანგარიშები

გამოყენება	რესურსები
წარმოების ანგარიში	
2. შუალედური მოხმარება	1. გამოშვება
3. დამატებული ღირებულება (1-2)	
მთლიანი შიდა პროდუქტი	
შემოსავლების ფორმირების ანგარიში	
2. შრომის ანაზღაურება	**მთლიანი შიდა პროდუქტი**
3. სხვა გადასახადები წარმოებაზე	1. დამატებული ღირებულება
4. მოგება და შერეული შემოსავალი (1-2-3)	
პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში	
5. შემოსავლები საკუთრებიდან, გადაცემული	**1. მოგება და შერეული შემოსავალი**
6. პირველადი შემოსავლების სალდო (1+2+3+4-5)	2.შრომის ანაზღაურება
ეროვნული შემოსავალი	3. წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
	4.შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული

[11] System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში	
მიმდინარე ტრანსფერები, გად-აცემული	**ეროვნული შემოსავალი**
განკარგვადი შემოსავალი	**პირველადი შემოსავლების სალდო**
	მიმდინარე ტრანსფერები, მი-ღებული
შემოსავლების გამოყენების ანგარიში	
საბოლოო მოხმარება	განკარგვადი შემოსავალი
დაგროვება	
კაპიტალის ანგარიში	
ძირითადი კაპიტალის მთლი-ანი დაგროვება	დაგროვება
მატერიალური საბრუნავი საშუა-ლებების მარაგების ცვლილება	კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული
ფასეულობების წმინდა შეძენა	კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული (-)
არაწარმოებული არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა	
წმინდა დაკრედიტება (+) **წმინდა სესხები (-)**	
ფინანსური ანგარიში	
ფინანსური აქტივების შეძენა	ფინანსური ვალდებულებების აღება
	წმინდა დაკრედიტება (+) **წმინდა სესხება (-)**

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო მართვის ორგანოებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოების ანგარიშის ეტაპზე შემოაქვს წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები.

რატომ არის გადასახადები დაუბრუნებადი? იმიტომ რომ ცალკეული ერთეული, რომელიც ახორციელებს ასეთ გადახდებს სახელმწიფო მართვის ორგანოებთან, სანაცვლოდ არ ღებულობს არავითარ სამაგიერო ექვივალენტს. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია მიღებული გადასახადების გამოყენება სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზე საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად როგორც ინდივიდუალური ისე კოლექტიური სახით. მასვე შეუძლია ასეთივე შეთავაზება განახორციელოს საზოგადოებისათვის მთლიანად.

ახლა განვიხილოთ წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადების კლასიფიკაცია. მას შემდეგი სახე აქვს:[12]

- გადასახადები პროდუქტებზე;
- დღგ-სთან დაკავშირებული გადასახადები;
- გადასახადები და მოსაკრებლები იმპორტზე, დღგ-ს გარეშე;
- მოსაკრებლები იმპორტზე;
- გადასახადები იმპორტზე დღგ-სა და მოსაკრებლების გამორიცხვით;
- გადასახადები ექსპორტზე;

[12] System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

• გადასახადები პროდუქტებზე, დღგ-ს გარეშე, გადასახადები ექსპორტსა და იმპორტზე.

წარმოებასა და იმპორტზე გადასახადები შედგება პროდუქტებზე გადასახადებისა და წარმოებაზე სხვა სახის გადასახადებისაგან. პროდუქტებზე გადასახადები მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, გაყიდვასთან, იჯარასთან ან მიწოდებასთან დაკავშირებულ გადახდებს. ასევე მათ გამოყენებას საკუთარი მოხმარებისათვის ან დაგროვებისათვის. რაც შეეხება წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა სახის გადასახადებს, იგი უკავშირდება წარმოებაში მიწის, შენობების, სხვა აქტივების ფლობასთან დაკავშირებულ გადასახადებს. აგრეთვე გადასახადებს, რომელთაც იხდიან სამუშაო ძალასთან ან მუშაკების შრომის ანაზღაურების ფონდთან დაკავშირებით. წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახადები აღირიცხება დამატებული ღირებულების შემადგენლობაში.[13]

საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვაში წარმოებაზე გადასახადები (დარიცხული დღგ-ს გარეშე), როგორც წესი, ჩამოიწერება წარმოების ხარჯებში, რომელიც მოგების გაანგარიშებისას საგადასახადო ან სხვა მიზნებით შეიძლება გამოირიცხოს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან ან სხვა შემოსავლებიდან. ასეთი გადასახადები მიესადაგებიან „ირიბ'' გადასახადებს (მათი ტრადიციული გაგებით), იგულისხმება, რომ ირიბი გადასახადები ეს ისეთი გადასახადებია, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლი-

[13] System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

ანად გადაემისამართება სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს საკუთარ პროდუქციაზე ან მომსახურებაზე ფასების გადიდების ხარჯზე. მიუხედავად ამისა, მეტად რთულია (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია) სხვადასხვა სახის რეალური გადასახადებით მოცვა, ამიტომ ტერმინები „პირდაპირი'' და „ირიბი'' გადასახადები პოპულარობით არ სარგებლობს ეკონომისტებს შორის და შესაბამისად არ გამოიყენება ეას-ში. [14]

წარმოებისა და იმპორტის გადასახადების ასახვა ანგარიშებში. წარმოებისა და იმპორტის გადასახადები შემოსავლების ჩამოყალიბების ანგარიშში აისახება გამოყენების მხარეს, ხოლო პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში- რესურსების მხარეს.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშში იმპორტის გადასახადი აისახება მხოლოდ მთელი ეკონომიკის მიხედვით, რამდენადაც მათი გადახდა არ ხდება სამამულო მწარმოებლების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულებიდან. უფრო მეტიც, ცალკეული ინსტიტუციური ერთეულისა და მთლიანად ინსტიტუციური სექტორის მიხედვით შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების მხარეს უნდა აისახოს პროდუქტების მხოლოდ ის გადასახადები, რომელიც არ იყო გამორიცხული მოცემული ერთეულის ან სექტორის გამოშვების მაჩვენებლის ღირებულებიდან. ეს ყველაფერი დამოკიდებულია გამოშვების შეფასების მეთოდზე. თუ გამოშვების ღირებულება იანგარიშება ძირითად ფასებში, პროდუქცი-

[14] System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

აზე ყველა გადასახადი (სუბსიდია) დაკავშირებული მათ წარმოებასთან გამოირიცხება წარმოების მოცულობიდან მწარმოებლის ფასებში. ზემოაღნიშნული გადასახადები ეას-ში აღირიცხება მხოლოდ ეკონომიკისათვის მთლიანობაში, ისე, როგორც გადასახადები იმპორტზე. გამოშვების შეფასებისას მწარმოებელთა ფასებით პროდუქტების ყველა გადასახადი და სუბსიდია საჭიროა აისახოს შესაბამისი ერთეულის ან სექტორის შემოსავლების ფორმირების გამოყენების მხარეს, დარიცხული დღგ-ს გარდა.

წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები და სუბსიდიები (გადასახადები გადახდილი მიწაზე, აქტივებზე, სამუშაო ძალაზე) – ეს ის გადასახადებია, რომელთა გადარიცხვა არ ხდება პროდუქციის ერთეულიდან და ამდენად, ისინი არ შეიძლება გამოირიცხოს მწარმოებლის ფასებიდან.

გადასახადები და გადასახდელები მომსახურებაზე. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ერთ-ერთი მარეგულირებელი ფუნქციაა, განსაზღვრული სახის საქონლის ქონებაზე ან გამოყენებაზე აკრძალვის შემოტანა ან ცალკეული სახის საქმიანობაზე განსაკუთრებული ნებართვის გაცემა ლიცენზიის ან მოწმობის სახით. თუ ასეთი ლიცენზიის გაცემა დაკავშირებულია უმნიშვნელო შრომით დანახარჯებთან სახელმწიფო მართვის ორგანოების მხრივ (ან საერთოდ არ არის დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოს მხრივ შრომით დანახარჯებთან), ხოლო ლიცენზიები გაიცემა ავტომატურად ზოგიერთი მარეგულირებელი ფუნქციების შესასრულებლად (მაგ., შესაბამისი პირის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის შემოწმება ან სხვა სახის კონტროლი,რომლის განხორცი-

ელება, რიგ შემთხვევაში არ არის აუცილებელი), ამ დროს განხორციელებული გადახდები შეიძლება განვიხილოთ არა როგორც გადასახადები, არამედ როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოსაგან მომსახურების შეძენა (იმ პირობით, რომ ასეთი სახის გადასახდელები არც ისე მაღალია მიღებული მომსახურების ხარჯებთან მიმართებაში).

კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტის შესახებ: მართალია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები გადასახადების საკითხებში ურთიერთშედარებისას სარგებლობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების საკლასიფიკაციო სისტემებით, როგორიც არის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თავად ამ ორი საერთაშორისო ორგანიზაციის გადასახადების საკლასიფიკაციო სისტემებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

ეას-ის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რომ გადასახადების ანგარიშებში ასახვა მოხდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რაც იმას ითვალისწინებს რომ გადასახადის ანგარიშში ასახვის დრო უნდა დაემთხვეს საგადასახადო ვალდებულების წარმოშვების მომენტს. კიდევ ერთ თავისებურებაზე, რაც ეას-ითაა განსაზღვრული: ჯარიმები, პროცენტები გადასახადების არათავისდროული ან საერთოდ არგადახდისათვის და სხვა საჯარიმო სანქციები უნდა აღირიცხოს გადასახადებისაგან ცალკე, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება და მათი აღრიცხვა წარმოებს გადასახადებთან ერთად.

ახლა განვმარტოთ ძირითადი გადასახადების შინაარსი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით.

გადასახადები პროდუქტზე – მოცემული გადასახადის გადახდა ხდება რომელიმე საქონლის ან მომსახურების ერთეულზე. გადასახადი შეიძლება განისაზღვროს საქონლის ან მომსახურების ისეთი ფიზი-კური მახასიათებლების მიხედვით, როგორიც არის: მოც-ულობა, წონა, სიმძლავრე, მანძილი, დრო და ა.შ ან ერთეული პროდუქტის ღირებულება პროცენტობით საქონლის საერთო ღირებულებაში. პროდუქტზე გადასა-ხადის გადახდა ხდება მისი წარმოების, გაყიდვის ან იმპორტის მომენტის მდგომარეობის მიხედვით. ასე მაგა-ლითად, როცა პროდუქტის ექსპორტირება ხდება, გადაეცემა იჯარით ან ტრანსფერის სახით, მიეწოდება სხვა ერთეულს, ან გამოიყენება საკუთარი მოხმარების ან დაგროვებისათვის.

დამატებული ღირებულების გადასახადი – ეს გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე ამოიღება საწარმოსაგან ეტაპობრივად, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მისი გადახდა ხდება სრული მოცულობით საბოლოო მყიდველის მიერ. მწარმოებლებს აქვთ უფლება გამო-თიშონ გადასახადის თანხა რაც გადაიხადეს იმ საქონლისა და მომსახურების შეძენისას, რომელიც მათ გამოიყენეს შუალედურ მოხმარებად ან ძირითადი კაპი-ტალის დაგროვებისათვის. დღგ-ს გადახდა ხდება აგრე-თვე იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე იმპორტთან დაკავშირებულ სხვა გადასახადებსა და გადა-სახდელებთან ერთად.

გადასახადები და გადასახდელები იმპორტზე მოიცავს გადასახადებს საქონელსა და მომსახურებაზე, რომლის გადახდა ხდება იმ მომენტისათვის, როცა ეს საქონელი გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ან საბაჟო

საზღვარს, ან როცა მომსახურების გაწევა მოხდება მწარმოებელი–არარეზიდენტების მიერ ინსტიტუციური რეზიდენტი ერთეულებისადმი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ იმპორტზე გადასახადებისა და გადასახდელების გადახდის შემდეგ უკვე მოცემული ქვეყნის საზღვრებში მათი მოძრაობის ზომის შესაბამისად (მაგალითად, საცალო ან საბითუმო სავაჭრო ქსელში) ამ საქონლიდან შეუძლიათ ამოიღონ სააქციზო მოსაკრებელი ან გაყიდვიდან გადასახადი, ასეთი სახის გადასახადებისაგან იბეგრება ყველა სახის საქონელი (იგულისხმება როგორც მწარმოებელი–რეზიდენტების მიერ გამოშვებული ისე იმპორტით შემოტანილი). ამ უკანასკნელი სახის გადასახადები არ მიეკუთვნება იმპორტის გადასახადს, ისინი ანგარიშში აისახება, როგორც პროდუქტებზე გადასახადი დღგ–ს, იმპორტისა და ექსპორტის გადასახადების გარეშე.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი გეგმა ასახავს გადასახადების კავშირს წარმოების, შემოსავლების, მოხმარების და კეთილდღეობის მდგომარეობასთან. ამ უკანასკნელს კარგად ახასიათებს შემოსავლების განაწილება გადანაწილების ანგარიშები და მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონესა და კეთილდღეობას მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით უფრო სრულფასოვნად ახასიათებს მთლიანი განკარგვადი შემოსავალი. იგი წარმოადგენს შემოსავლის სიდიდეს, რომელიც წარმოიშვება წლის მანძილზე ეკონომიკის სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად და მისი დახარჯვა შესაძლებელია საბოლოო მოხმარებისათვის. მოცემული

მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით[15].

სქემა N3

მთლიანი განკარგვადი შემოსავალიი = **მთლიან ეროვნულ შემოსავალს** +

\+ **„დანარჩენ მსოფლიოსთან“ მიმდინარე ტრანსფერების სალდო (მიღება-გაცემა)**

მთლიანი განკარგვადი შემოსავალიი = **მთლიან შიდა პროდუქტს** +

\+ **„დანარჩენ მსოფლიოსთან“ პირველადი შემოსავლების სალდო** +

\+ **„დანარჩენ მსოფლიოსთან“ მიმდინარე ტრანსფერების სალდო**

---

[15] System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში საქართველოს მიხედვით 2003-2008 წარმოდგენილია ქვე-მოთ მოტანილ ცხრილში.

ცხრილი N 6

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში [16]
მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
რესურსები						
მთლიანი ეროვნული შემოსავალი	8631,3	10004,9	11791,7	14102,5	17060,5	18818,0
შემოსავლები საკუთრებიდან მიღებული „დანარჩენი მსოფ-ლიოდან“	466,3	881,4	747,9	1029,1	1280,2	1718,3
რესურსები, სულ	9097,6	10886,2	12539,7	15131,5	18340,7	20536,3
გამოყენება						
მიმდინარე ტრანსფერები გადა-ცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“	77,9	97,9	98,5	111,7	133,7	121,7
მთლიანი განკარგვადი შემოსავალი	9019,7	10788,3	12441,2	15019,8	18206,9	20414,6
გამოყენება, სულ	9097,6	10886,2	12539,7	15131,5	18340,7	20536,3

[16] საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008, სტატისტიკური კრებული, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მაჩვენებლები ისე როგორც დასავლეთის მრავალ ქვეყანაში იანგარიშება შინამეურნეობების თვალსაწიერიდან გამომდინარე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება კეთილდღეობისა და განსაკუთრებით მოსახლეობის სიმდიდრის მაჩვენებლების დამუშავება როგორც შინამეურნეობების ისე სხვა ინსტიტუციური სექტორების ჭრილში, ამდენად უნდა შემოვიფარგლოთ მშპ-სა და წმინდა განკარგვადი შემოსავლის მაჩვენებლების ანალიზით და ვაჩვენოთ, თუ როგორ კორელირებს ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთთან, განსაკუთრებით მათი ზრდის მახასიათებლები 2005-2011 წლების მიხედვით.

მშპ-სა და წმინდა განკარგვად შემოსავალს შორის კავშირი მეტად საინტერესოა, რამეთუ, წმინდა განკარგვადი შემოსავალი გაცილებით უკეთ ახასიათებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტი და წმინდა შიდა პროდუქტი. მის გაანგარიშებაში მონაწილეობას ღებულობს საქართველოდან უცხოეთში და უცხოეთიდან საქართველოში ყოველწლიურად განხორციელებული ფულადი გზავნილები. საზღვარგარეთიდან საქართველოს შინა მეურნეობებს საშუალოდ წელიწადში მიღებული აქვს 1,2 მილიარდი ლარი იქ მცხოვრები ქართველი ოჯახის წევრებისაგან, რაც საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლების დაახლოებით 30% შეადგენს. ამდენად, საინეტრესოა თუ როგორ კორელირებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა განკარგვადი შემოსავლების მაჩვენებლები.

ხსენებულის საიულისტრაციოდ მოვახდინოთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის განხორციელება.

ცხრილი N7

მშპ და წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი 2005-2011 წლებში [17]

წელი	მშპ მლრდ.ლარი მიმდინარე ფასებში (X)	წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი მლრდ.ლარი (y)
2005	11.6	11,3
2006	18.8	13,7
2007	17	16,6
2008	19.1	18,7
2009	18	17,7
2010	20.7	19,9
2011	24.2	22,9

ამ მონაცემების გრაფიკული გამოსახულებიდანაც ჩანს, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის კავშირი წრფივი ხასიათისაა.

[17] www.geostat.ge

გრაფიკი N 3

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავლის ურთიერთკავშირის გრაფიკი 2005-2011 წწ



შესაბამისად, ურთიერთკავშირის ანალიზური ფორმა აქაც წრფივი ფუნქციით გამოისახება ანუ $\overline{y_x} = a_0 + a_1 x$.

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრები.

ცხრილი N 8

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავლის ურთიერთკავშირის ამოსახსნელი დამხმარე ცხრილი 2005-2011 წწ [18]

	x	y	xy	$(x-\bar{x})$	$(x-\bar{x})^2$	$(y-\bar{y})$	$(y-\bar{y})^2$	(X^2)	$(\hat{y})$
2005	11.6	11.3	131.08	-6.88571429	47.41306	-5.95714	35.48755	134.56	11.01722
2006	18.8	13.7	257.56	0.31428571	0.098776	-3.55714	12.65327	353.44	17.54195
2007	17	16.6	282.2	-1.48571429	2.207347	-0.65714	0.431837	289	15.91077
2008	19.1	18.7	357.17	0.61428571	0.377347	1.442857	2.081837	364.81	17.81382
2009	18	17.7	318.6	-0.48571429	0.235918	0.442857	0.196122	324	16.81698
2010	20.7	19.9	411.93	2.21428571	4.903061	2.642857	6.984694	428.49	19.26376
2011	24.2	22.9	554.18	5.71428571	32.65306	5.642857	31.84184	585.64	22.4355
ჯამი	129.4	120.8	2312.72		87.88857		89.67714	2479.94	120.8

ამ მონაცემებიდან გამომდინარე ვღებულობთ:

$$\overline{xy} = \frac{\Sigma xy}{n} = 330{,}3886;$$

$$\bar{x} = \frac{\Sigma x}{n} = 18{,}48571;$$

$$\bar{y} = \frac{\Sigma y}{n} = 17{,}25714;$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\Sigma(x-\bar{x})^2}{n}} = 3{,}543376;$$

[18] ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

$$\sigma_y = \sqrt{\frac{\Sigma(y-\overline{y})^2}{n}} = 3{,}579249;$$

$$a_0 = \overline{y} - a_1\overline{x} = 0{,}505159;$$

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \overline{x}\cdot\overline{y}}{\overline{x^2} - (\overline{x})^2} = 0{,}906212;$$

ამდენად, განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$\overline{y_x} = 0{,}505159 + 0{,}906212\ X$

მოსწორებული დონეების ჯამი (∑ ŷ) უდრის 120,8 -ს, ემპირიული დონეების ჯამიც (∑y) ტოლია 120,8 -ის. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა). $\sum(y - \hat{y})^2 = (120{,}8 - 120{,}8)^2 = 0.$

შესაბამისად, კორელაციის წრფივი კოეფიციენტი იქნება:

$$r = \frac{\overline{xy} - \overline{x}\cdot\overline{y}}{\sigma_x\sigma_y} = \frac{330.3886 - 18.48571 * 17.25714}{3.543376 * 3.579249} = 0{,}89713$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი r = 0.89-ს, რაც ძალიან ძლიერია და პროცენტულად 89%-ია. ეს მიუთითებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალს შორის მჭიდრო კორელაციურ კავშირზე.

კორელაციური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დავადგინოთ, რამდენად ადეკვატურად ასახავს

ჩვენს მიერ შერჩეული განტოლება ემპირიული მონაცემების განვითარების სურათს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად სტატისტიკაში იყენებენ ფიშერის კრიტერიუმს.

$$F = \frac{r^2(n-l)}{(1-r^2)(l-1)}$$

სადაც, r^2 - დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტია, n - დაკვირვებათა რიცხვი, l - პარამეტრების რიცხვი მოდელში. F ფაქტობრივი მაჩვენებლის შედარებაა მის კრიტიკულ (ცხრილურ) მნიშვნელობასთან. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ განტოლების (მოდელის) ადეკვატურობა. თუ ამ კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას, მაშინ შერჩეული მოდელი ანუ განტოლება არსებითია, ანუ ადეკვატურია. ცხრილური მნიშვნელობანი შედგენილია v_1 და v_2 თავისუფლების ხარისხისა და α - ს დონის მოცემული მნიშვნელობისათვის (α - არის სხვაობა 1-სა და ალბათობას შორის. თუ ალბათობა 0,95-ია, მაშინ α=1-0,95=0,05). ცხრილში მოცემულია F-ის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობანი, რომლის ქვემოთ მოცემული ალბათობითაც, კრიტერიუმი განაპირობებს შერჩეული მოდელის არაადეკვატურობას. მაგალითზე n = 7, l = 2, r^2 =0,8048, v_1 = l-1= 2-1 = 1, ხოლო -v_2 = n-l = 7-2= 5, ასეთ პირობებში, კრიტერიუმი შემდეგ სახეს მიიღებს:

$$F = \frac{0.8048(7-2)}{(1-0.8048)(2-1)} = 20{,}615$$

ცხრილში, v_1=1 და v_2=5 თავისუფლების ხარისხისა და α=0,05 მნიშვნელობისათვის შეადგენს 6,61-ს. მაშასადამე, F

კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას (Fსაანგ. > Fცხრ.), რაც ჩვენს მიერ გამოყენებული რეგრესიის განტოლების ადეკვატურობას ადასტურებს.

საგადასახადო ტვირთი განიხილება როგორც მიკრო (საწარმო, შინამეურნეობა, მოქალაქე) ისე მაკრო (ეკონომიკისათვის მთლიანად) დონეებზე. პირველ შემთხვევაში, ანუ საწარმოს დონეზე ტვირთი იანგარიშება სავალდებულო გადასახადების და გადასახდელების შეფარდებით შუალედურ მოხმარებასთან ან ბრუნვის მაჩვენებელთან ან დამატებულ ღირებულებასთან დროის ამა თუ იმ პერიოდში.

ქვეყნის მიხედვით საგადასახადო ტვირთი ასევე იანგარიშება სხვადასხვა მაკრო მაჩვენებლების გამოყენებით. კერძოდ, ამა თუ იმ პერიოდში როგორც საგადასახადო შემოსავლების ჯამობრივი მაჩვენებელი შეფარდებული მთლიან შიდა პროდუქტთან. ამდენად, საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისას როგორც მიკრო ისე მაკრო დონეებზე დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე შემთხვევაში მნიშვნელისა და მრიცხველის სწორად განსაზღვრას. ისმის კითხვა: როგორი მეთოდით უნდა ვიანგარიშოთ საგადასახადო ტვირთი? ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მისი 2008 წლის ვერსია გვეუბნება, რომ იგი უნდა ვიანგარიშოთ დარიცხვის მეთოდით ანუ იმ მეთოდით, როცა დგება გადასახადის გადახდის ვალდებულება. ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში ამჟამად მიმდინარეობს გადასახადების აღრიცხვაში საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლა, რომლის დასრულების შემდეგ ჩვენი საგადასახადო ტვირთის ანალიზი სრულ

შესაბამისობაში იქნება დასავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებულ პრაქტიკასთან.

რა სახის გადასახადები უნდა შევიტანოთ საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელში? ესენია: საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი გადასახადები. (დამატებული ღირებულების გადასახადი; საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; აქციზი; იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი). ეს გადასახადები იყოფა პირდაპირ გადასახადებად და ირიბ გადასახადებად. პირდაპირი გადასახადი წარმოადგენს გადასახადს გადამხდელის შემოსავლებზე და ქონებაზე, რომელთაც უშუალოდ იღებს სახელმწიფო. (კოპალეიშვილი, ჩიკვილაძე, 2011). ასეთი სახის გადასახადების ამოღება ხდება ფაქტობრივი გადახდისუნარიანობის პრინციპის მიხედვით და მათ მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და ქონების გადასახადი.

არაპირდაპირი გადასახადი ისეთი გადასახადია, რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი), ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს, იმპორტიორს ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელად იწოდება. (კოპალეიშვილი, ჩიკვილაძე, 2011).

განსხვავებულად იანგარიშება მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი. იგი ფორმულის სახით შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

$$Bpop = (Tpop : Ipop) \times 100\ \% \qquad (2)$$

სადაც,

Bpop_ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთია;

Tpop_ მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების ჯამია;

Ipop_ მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავლების ჯამია. (კოპალეიშვილი, ჩიკვილაძე, 2011).

საგადასახადო ტვირთის ანალიზისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გადასახადების ოპტიმიზაცია. გადასახადების ოპტიმიზაცია ორგანიზაციის საგადასახადო დაბეგვრის, რეგულირებისა და შიდა საგადასახადო კონტროლის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია.

მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის ერთიანი უნივერსალური პარამეტრები მსოფლიოს ყველა ქვეყნებისათვის ჯერჯერობით არ არსებობს. მრავალი თანამედროვე დასავლური ქვეყნებისათვის საგადასახადო ტვირთს უდარებენ ,,ლაფერის მრუდს'', რომელიც თავის დროზე გაანგარიშებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკისათვის და მერყეობდა 35-40%-ის ფარგლებში მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში. ამ დროისათვის საგადასახადო ოპტიმუმი მიჩნეული იყო 37,5%. მოცემული ზღვრული მაჩვენებელი მრავალი სპეციალისტის მიერ ამჟამადაც მიჩნეულია საგადასახადო ტვირთის შედარებითი შეფასების ბაზად. ეხლა განვიხილოთ თუ როგორი გაბნევა გააჩნია საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედ-

ვით. აღნიშნული მოცემულია დიაგრამა N1-ში. (ევროსტატი, 2015).

დიაგრამა N1

წყარო: ევროსტატი 2015 (განმარტებითი სტატისტიკა)

როგორც დიაგრამა N1-დან ვხედავთ, საგადასახადო ტვირთმა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით (EU 28), 2015 წელს, 40 % შეადგინა, ხოლო ევრო ზონაში (EA-19) 41,4%. მოცემული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ 2007 წლიდან 2011 წლამდე საგადასახადო შემოსავლები ევროკავშირისა და ევროზონის ქვეყნების მიხედვით მცირდებოდა, ხოლო 2011 წლიდან აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა ფიქსირდება.

2015 წელს, საგადასახადო შემოსავალმა შეადგინა ევროკავშირის მთლიანი სამთავრობო შემოსავლის 89%. (ევროსტატი, 2015).

ცხრილი N9

საგადასახადო ტვირთი, 1995-2015 წწ

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
EU-28	38,7	39,1	39,1	39,0	38,4	38,4	38,9	39,6	40,0	40,0	40,0
EA-19	39,5	39,9	40,0	39,6	39,3	39,2	39,7	40,8	41,3	41,5	41,4
BE	45,6	45,5	45,2	45,8	45,2	45,5	46,2	47,3	48,3	48,0	47,5
BG	30,5	29,9	31,6	30,7	27,2	26,0	25,3	26,7	28,2	28,4	29,0
CZ	34,2	33,9	34,4	33,1	32,2	32,6	33,8	34,3	34,9	33,9	34,4
DK	49,4	47,8	47,7	46,0	46,3	46,3	46,3	46,9	47,5	50,3	47,6
DE	38,5	38,8	38,8	39,2	39,6	38,2	38,7	39,3	39,6	39,7	40,0
EE	30,1	30,7	31,4	31,6	35,1	33,5	31,7	31,9	31,9	32,8	34,1
IE	31,3	32,7	32,1	30,4	29,0	28,5	28,6	29,0	29,5	29,9	24,4
EL	33,5	32,7	33,5	33,7	32,9	34,2	36,1	38,5	38,3	39,0	39,6
ES	35,9	36,7	37,1	32,9	30,6	32,1	32,0	33,1	34,0	34,5	34,6
FR	44,5	44,9	44,3	44,3	43,9	44,1	45,2	46,5	47,4	47,8	47,9
HR	36,2	36,8	37,1	36,8	36,4	36,2	35,3	35,9	36,6	36,8	37,6
IT	39,2	40,4	41,7	41,5	42,0	41,7	41,7	43,8	43,8	43,5	43,5
CY	31,4	32,1	36,1	34,8	31,8	31,9	31,9	31,6	31,5	33,2	33,0
LV	28,1	29,0	28,4	28,2	27,6	28,1	28,0	28,8	28,9	29,3	29,5
LT	29,5	30,4	30,4	30,9	30,6	28,7	27,6	27,3	27,3	27,9	29,4
LU	39,2	37,1	37,4	38,1	40,0	38,6	38,7	40,0	39,8	39,4	39,1
HU	36,8	36,7	39,6	39,6	39,2	37,5	36,9	38,6	38,1	38,3	39,2
MT	33,0	33,4	34,2	33,4	33,8	32,5	33,2	33,4	33,6	35,1	34,7
NL	36,1	37,0	36,6	36,9	35,9	36,7	36,4	36,5	37,1	38,0	38,2
AT	42,4	41,7	41,8	42,6	42,3	42,1	42,2	42,8	43,6	43,8	44,4
PL	33,8	34,5	35,4	34,9	32,0	32,3	32,7	32,9	32,8	32,9	33,3
PT	34,2	34,8	35,0	34,9	33,4	33,7	35,5	34,5	37,2	37,1	37,0
RO	28,3	29,0	29,6	28,3	27,0	26,9	28,1	27,7	27,3	27,5	28,0
SI	38,2	37,9	37,3	36,8	36,7	37,4	37,0	37,4	37,3	37,0	37,1
SK	31,4	29,4	29,3	29,1	28,9	28,2	28,8	28,4	30,3	31,3	32,4
FI	42,3	42,3	41,6	41,3	41,1	40,9	42,2	42,8	43,7	44,0	44,1
SE	47,5	46,8	45,8	44,9	45,1	44,1	43,5	43,5	43,9	43,5	44,2
UK	34,6	35,3	35,1	36,6	34,1	35,2	35,7	35,0	34,8	34,4	34,9

როგორც ცხრილი N9 გვიჩვენებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი მშპ-ში) 2015 წელს დაფიქსირდა საფრანგეთში (47,9%), დანიასა (47,6%) და ბელგიაში (47,5%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ირლანდიაში (24,4%), რუმინეში (28,0%), ბულგარეთში (29,0%), ლიტვაში (29,4%), ლატვიასა (29,5%) და შვეიცარიაში (28,1%). (ევროსტატი, 2015).

საგადასახადო ტვირთი მკვეთრად განსხვავდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით. საგადასახადო შემოსავალი როგორც მშპ-ის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 29,4%-ს ლიტვაში, მაშინ როცა დანიაში 47,6% ფიქსირდება.

ეს დიდი განსხვავებები ძირითადად დამოკიდებულია სოციალური პოლიტიკის არჩევანზე, საჯარო ან კერძო მომსახურების მიწოდებაზე, ისეთებზე, როგორიცაა მოხუცთა პენსიები, ჯანმრთელობის დაზღვევა და განათლება, საჯარო დასაქმება და ა.შ. გარკვეულ როლს თამაშობს ასევე ტექნიკური ფაქტორებიც: ზოგიერთი წევრი ქვეყანა სოციალურ და ეკონომიკურ მომსახურებას ახორციელებს გადასახადების შემცირებით, ვიდრე პირდაპირი სახელმწიფო ხარჯებით, რადგან სოციალური ტრანსფერები და სოციალური შენატანები ზოგიერთ ქვეყანაში არ ექვემდებარება დაბეგვრას, თუმცა არა ყველა ქვეყანაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ს ღირებულება მოიცავს „ჩრდილოვან ეკონომიკას''. ასე რომ არა მხოლოდ დაბალმა გადასახადებმა, არამედ მაღალი გადასახადების აღკვეთამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაბალი საგადასადო ტვირთი.

თავი 2. საგადასახადო სამართლიანობის კვლევის ემპირიული ანალიზი საქართველოში

2.1 საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური ზომის ანალიზი საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად გადასახადების რაოდენობა შემცირდა, ასევე შემცირდა საგადასახადო განაკვეთები. დადებითად უნდა შეფასედეს 2005 წლიდან ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედება, რითაც გადასახადების სახეობათა რაოდენობა 21-დან 7-მდე შემცირდა, ხოლო საგადასახადო ტვირთი აშკარად შემსუ-ბუქდა. ქვეყანაში კონკურენციის განვითარების ხელშე-წყობის მიმართულებით, გარდა სასოფლო - სამეურნეო პროდუქციასა და საშენ მასალებზე, დანარჩენ საქონელზე საიმპორტო გადასახადი გაუქმდა. გამარტივდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში გაუქმდა ბიზნესის დაწყებისათვის ლიცენზიებისა და სხვადასხვა ტიპის ნებართვების აღების აუცილებლობა. არსებითად გამარტივდა საკუთრების უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურები. ყოველივე ეს აშკარად ხელშემწყობ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს კერძო სექტორის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, საგადასახადო ტვირთი შემდგომ ოპტიმიზაციას საჭიროებს.როგორც ცნობილია, საგადასახა-დო ტვირთი იანგარიშება როგორც ქვეყნისათვის მთლიანად, ასევე მას ანგარიშობენ ინსტიტუციური ერთეულების, (კორპორაცია, საწარმო) და მოსახლეობის მიხედვით.

საგადასახადო ტვირთის სიმძიმე სიმსუბუქეზე დი-დად არის დამოკიდებული ეკონომიკის მდგრადი

განვითარება და ბიზნესის მდგომარეობისადმი ხელის შეწყობა. ამდენად მისი ოპტიმალური ზომის დადგენა მნიშვნელოვანი და ერთობ რთული მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემაა. მსოფლიოში დღემდე არ არსებობს საგადასახადო განაკვეთების ზომის განსაზღვრის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია, რაც ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის ფორმირების ამოსავალი თეზაა.

პრობლემის შესასწავლად შევიმუშავე მეთოდოლოგია, რომელიც ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დადგენას ემღვნება. როგორც ვიცით, გადასახადი ორადი ბუნებისაა. პირველი ეს მისი ის ნაწილია, რომელსაც საწარმო იხდის პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) ღირებულებიდან გამომდინარე. მას მეორენაირად სავალდებულო ბეგარა შეიძლება ვუწოდოთ. რაც შეეხება გადასახადის მეორე ნაწილს, იგი კორპორაციამ უნდა გადაიხადოს ისეთი საერთოსახელმწიფოებრივი მიზნების რეალიზაციისათვის როგორიც არის: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოქალაქეთა განათლება და ჯანდაცვა, აგრეთვე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. როგორ უნდა ვიანგარიშოთ გადასახადის პირველი და მეორე ნაწილი? ამ მიზნით ჩავატარე ემპირიული კვლევა მოგების გადასახადის განაკვეთის განსაზღვრისათვის. გამოვიკვლიე სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული 9735 საწარმო. კვლევამ გვიჩვენა, რომ მოგების გადასახადის პირველი ნაწილის წილად მოდის საშუალოდ საწარმოს მოგების 12%. ქვეყნის საგადასახადო კოდექსის თანახმად მოგების გადასახადი 15%–ია. ჩემი აზრით, სწორედ ოფიციალური გადასახადის 15 %–სა და 12%–ს შორის სხვაობა შეიძლება იყოს ამ სახის გადასახადის მეორე ნაწილი. ისმის კითხვა როგორ უნდა განვსაზღვროთ

ეს მეორე ნაწილი? ამისთვის ქვეყნის ექსპერტების, პოლიტიკოსების, სამთავრობო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოკითხვა უნდა ვაწარმოოთ, მათი აზრის გამოკვლევა თუ ჩამოთვლილი პრობლემებიდან: ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, საზოგადოებრივი წესრიგი, განათლება, ჯანდაცვა, ეკონომიკის განვითარება რომელს ანიჭებენ უპირატესობას. გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა უნდა გავითვალისწინოთ ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოებშიარსებული სიტუაციაც. ე.ი ჩვენი განაკვეთი თანდათან უნდა დაუახლოვდეს ევროგაერთიანების საშუალო ანალოგიურ განაკვეთს. ანალოგიური წესით უნდა ვიანგარიშოთ სხვა სახის გადასახადების განაკვეთები. საგადასახადო განაკვეთები უნდა იყოს გათვლილი არა მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდზე და 5 ან 10 წლის გასვლის შემდეგ უნდა მოხდეს მათი გადახედვა ექსპერტების ახალი გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. ოპტიმალური გადასახადების დადგენის შემდეგ უნდა ვიანგარიშოთ ასევე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი, როგორც ქვეყნის ასევე კორპორაციის მიხედვით. (Kbiladze, 2015). ცხრილი N10 გვიჩვენებს საგადასახადო ტვირთის მაჩვენებლებს საქართველოში 2003-2016 წლების მიხედვით.

ცხრილი N 10.

საგადასახადო ტვირთი საქართველოში 2003–2016 წწ.

	მშპ.მიმდ.ფასებში	საგადასახადო შემოსავლები მიმდ.ფასებში მლნ.ლარი	საგადასახადო ტვირთი
2003	8,564.1	1,005.9	11.7
2004	9,824.3	1,530.2	15.6
2005	11,620.9	1,982.8	17.1
2006	13,789.9	2,646.5	19.2
2007	16,993.8	3,669.0	21.6
2008	19,074.9	4,752.7	24.9
2009	17,986.0	4,388.9	24.4
2010	20,743.4	4,867.5	23.5
2011	24,344.0	6,134.8	25.2
2012	26,167.3	6,671.0	25.5
2013	26,847.4	6,659.3	24.8
2014	29,150.5	7,241.6	24.8
2015	31,755.6	8,010.8	25.2
2016	33,921.6	8,786.1	25.9

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც ცხრილი N10 გვიჩვენებს საგადასახადო ტვირთი საქართველოში 2003 წლიდან მოყოლებული თანდათან მძიმდება და იგი 2016 წელს 2003 წელთან შედარებით 2–ჯერ და მეტად გაიზარდა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო ტვირთი საქართველოში

ყველაზე უფრო დაბალია ევროკავშირის სახელმწიფოებთან შედარებით. (Kbiladze, 2015).

ტვირთის ანალიზისას ზოგადად ასეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა: ტვირთი მაღალია მომსახურების სფეროში და დაბალი საქონელმწარმოებელ დარგებში.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების მიხედვით საგადასახადო ტვირთი რამდენადმე განსხვავებულია მსხვი-ლი, საშუალო და მცირე საწარმოების, აგრეთვე სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საწარმოების მიხედვით, საწარმოთა საგადასახადო ტვირთის სიმძიმე–სიმსუბუქეზე უფრო დეტალურ წარმოდგენას გვიქმნის საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოთა განაწილება დეცილურ ჯგუფებად.

2011 წლის შედეგებით, გამოკვლეულ–გაანალი-ზებულია თითოეული საწარმოს საგადასახადო ტვირთის დონე და ტვირთის დეცილური ჯგუფების ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია, რომ საწარმოების ტვირთის საშუალო დონის (28,11%) პირობებში ყველაზე მსუბუქი ტვირთის მქონე 10%–ს აქვს საწარმოების მთელი ტვირთის 8,7%, ხოლო უდიდესი ტვირთის მქონე საწარმოების ასევე 10%–ს ტვირთის 53,5%. ე.ი განსხვავება უმსხვილესი და უმცირესი საწარმოების ტვირთის მიხედვით (დიფერენცი-აციის მაჩვენებელი) 6–ჯერადია. ეს მაშინ, როდესაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ტვირთის სიმსუბუქე–სიმძიმის მაჩვენებლის მიხედვით არ არის გამიჯნული საგადასახადო ტვირთი და საწარმოები განურჩევლად მათი სიდიდისა და საქმიანობის სახისა იხდიან ერთიდაიმავე ზომის განაკვეთის გადასახადებს.ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ინდმეწარმეები რომლებიც სარგებლობენ საგადასახადო შეღავადებით. ამრიგად, საგადასახადო ტვირ-

თის ანალიზმა და ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ამჟამინდელ სინამდვილეში არსებული საგადასახადო ტვირთი საჭიროა დაექვემდებაროს მის შემდგომ ოპტიმიზაციას, რაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მაკრო დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის ღონისძიებებზე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის ავაგეთ ლაფერის დინამიკური მრუდი საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე 1996-2012 წლების მიხედვით. დინამიკური ლაფერის მრუდი ბალაცკისეული ინტერპრეტაციით ჩაიწერება შემდეგი ფორმულით:

$x = a \cdot q + b \cdot q^2$ (3), (Балацкий Е.В., Екимова Н.А, 2011)

სადაც a და b შეფასებადი პარამეტრებია.

(3) მოდელი, ერთდროულად, სამი ინდიკატორის მიღების საშუალებას გვაძლევს. ესენია, დინამიკური ლაფერის წერტილი (q^*), სტატიკური ლაფერის წერტილი (q^{**}) და და ეკონომიკის მაქსიმალური ზრდის ტემპი (x^*).

მოდელი (3) გვიჩვენებს დამოკიდებულებას მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპსა და საგადასახადო განაკვეთს შორის.

$x = \frac{x_t - x_{t-1}}{x_{t-1}}$ - არის მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპი;

$q = \frac{T}{X}$ - არის საგადასახადო ტვირთი, რომელიც მოცემული წლისთვის იანგარიშება როგორც საგადასახადო შემოსავლების ჯამის ამავე წლის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობით.

ოპტიმალური საგადასახადო ტვირთვის შესაფასებლად გავაანალიზოთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. (იხ. ცხრილი N11)

ცხრილი N 11.

მშპ და საგადასახადო შემოსავლების დინამიკა საქართველოში **1996-2016** წლებში

წელი	მთლიანი შიდა პროდუქტი - 2010 წლის ფასებში	საგადასახადო შემოსავლები 2010 წლის ფასებში
1996	9,452.4	892.4
1997	10,446.7	1,682.0
1998	10,771.1	1,532.1
1999	11,080.1	1,702.9
2000	11,283.8	1,740.2
2001	11,826.1	1,927.2
2002	12,473.4	2,050.1
2003	13,852.7	2,058.4
2004	14,655.6	2,229.6
2005	16,060.8	2,252.6
2006	17,573.9	2,410.3
2007	19,784.5	2,823.9
2008	20,262.9	2,842.4
2009	19,523.3	2,789.7
2010	20,743.4	2,834.3
2011	22,241.4	3,122.8
2012	23,653.8	3,360.8
2013	24,454.9	3,395.5
2014	25,585.6	3,590.4
2015	26,322.5	3,626.2
2016	27,044.8	3,676.8

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ეკონომიკური მოვლენების ეფექტური ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. არსებობს სიმჭიდროვის ხარისხის შეფასების რამდენიმე სახის კორელაციის კოეფიციენტი: კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, ფეხნერის კოეფიციენტი, სპირმენის რანგების კორელაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციის კოეფიციენტი, დ. იულას ასოციაციის კოეფიციენტი, კ. პირსონის კონტინგენციის კოეფიციენტი, ემპირიული და თეორიული კორელაციის დამოკიდებულება და სხვა. მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც მერყეობს (-1 დან +1 მდე). კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დადგენა გულისხმობს, გაზომოს, თუ როგორ მოქმედებს საშედეგო მოვლენის განვითარებაზე ანუ ვარიაციის ცვლილებაზე მიზეზობრივი ფაქტორის (წყვილადი კორელაცია) ან ფაქტორების (მარავლობითი კორელაცია) ვარიაციული ცვალებადობანი.

წრფივი კავშირის შემთხვევაში, კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს გვიხასიათებს კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც შემუშავებულ იქნა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ინგლისელი სტატისტიკოსის, ბიოლოგისა და ფილოსოფოსის კარლ პირსონის (1857-1936 წწ) მიერ. კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე : $r = \dfrac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\sigma_x \sigma_y}$

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით, კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$r = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\sigma_x \sigma_y} = 0.98195$$

მსოფლიოს სტატისტიკაში მიჩნეულია, რომ თუ კოეფინიენტის მნიშვნელობა 0 დან 0.3 -მდეა - კავშირი სუსტია, 0.3-დან 0.6-მდე- ზომიერია, ხოლო თუ 0.6 დან 1-მდეა, მაშინ კავშირი ძლიერია. ჩვენს მაგალითზე კორელაციის წრფივი კოეფიციენტი r = 0.98-ის ტოლია, რაც ძლიერ კავშირს ასახავს და პროცენტებში 98%-ია, რაც მიუთითებს საგადასახადო შემოსავლებისა და მშპ -ს შორის ძლიერ კორელაციურ კავშირზე.

SUMMARY OUTPUT								
Regression Statistics								
Multiple F	0.998844							
R Square	0.99769							
Adjusted I	0.944937							
Standard E	0.053468							
Observati	21							
ANOVA								
	df	*SS*	*MS*	*F*	*gnificance F*			
Regressio	2	23.4576	11.7288	4102.707	1.15E-24			
Residual	19	0.054317	0.002859					
Total	21	23.51192						
	Coefficients	*andard Err*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*ower 95.0%*	*pper 95.0%*
Intercept	0	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A
X Variable	16.28475	1.000344	16.27915	1.29E-12	14.191	18.37849	14.191	18.37849
X Variable	-61.6031	6.840164	-9.00609	2.76E-08	-75.9197	-47.2865	-75.9197	-47.2865

როგორც აღნიშნულიდან ვხედავთ, მოდელი აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ სტატისტიკური შეფასების პარამეტრებს. ლაფერის მრუდი საქართველოს ეკონომიკისადმი შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$x = 16{,}285\, q - 61{,}603 q^2 \qquad (4)$$

პარაბოლის ამოხსნით მივიღებთ, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი, ანუ დინამიკური ლაფერის წერტილი, $q = 13{,}2$ %-ს, ხოლო ეკონომიკის შესაბამისი ოპტი-

მალური ზრდა არის 7,8%, სტატიკური ლაფერის წერტილის მნიშვნელობა ტოლია 16,7 %-ის. თუ გადავხედავთ ეკონომიკის რეალური ზრდის მონაცემებს და ასევე, საგადასახადო ტვირთის მონაცემებს, შეგვიძლია თითოეული წლისათვის შევაფასოთ ამ მაჩვენებლების ოპტიმალური დონიდან გადახრის სიდიდე.

ცხრილი N 12.

მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში (Y)	გადასახადები პროდუქციაზე მუდმივ 2010 წლისფასებში (T)	მშპ-ს რეალური ზრდა (წინა წელი) = 100)	T/Y	(T/Y)^2
9452.418	892.43	1.113	0.094	0.009
10446.722	1681.98	1.105	0.161	0.026
10771.082	1532.12	1.031	0.142	0.020
11080.132	1702.87	1.029	0.154	0.024
11283.823	1740.15	1.018	0.154	0.024
11826.062	1927.18	1.048	0.163	0.027
12473.401	2050.09	1.055	0.164	0.027
13852.723	2058.39	1.111	0.149	0.022
14655.624	2229.61	1.058	0.152	0.023
16060.847	2252.61	1.096	0.140	0.020
17573.898	2410.26	1.094	0.137	0.019
19784.480	2823.93	1.126	0.143	0.020
20262.889	2842.36	1.024	0.140	0.020
19523.273	2789.73	0.963	0.143	0.020
20743.364	2834.30	1.062	0.137	0.019
22241.351	3122.79	1.072	0.140	0.020
23653.784	3360.83	1.064	0.142	0.020
24454.948	3395.49	1.034	0.139	0.019
25585.582	3590.43	1.046	0.140	0.020
26322.528	3626.22	1.029	0.138	0.019
27044.821	3676.82	1.027	0.136	0.018

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე



ნახ.1 დინამიკური და სტატიკური ლაფერის მრუდები

სტატიკური ლაფერის მრუდის წერტილები აღნიშნავენ ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მშპ ინარჩუნებს ზრდის მუდმივ ტემპს, რომელიც უდრი ერთს. ამ წერტილებს შორის მოქცეულია ფისკალური პოლიტიკის სამოქმედო დიაპაზონი. ამ შუალედის მიღმა გადაცდენა ქვეყანას ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანს.

სტატიკური ლაფერის წერტილების შეფასებული მნიშვნელობები საქართველოს ეკონომიკისათვის, შესაბამისად 9,7% და 16,7%-ია. ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო ტვირთის დაწევა 9,6%-ის ქვემოთ გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ვარდნას, ასევე საგადასახადო ტვირთის გაზრდა 17,6%-ის ზემოთ, ქვეყნის ეკონომიკის რეცესიულ მდგომარეობაში შეყვანას ნიშნავს.

ოპტიმალურობის თვალსაზრისით, რაციონალურია თუ საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობა მიუახლოვდება 13,2%-ს მარცხნიდან, თუმცა, აუცილებელი საბიუჯეტო

ხარჯების გაწევისათვის, ფისკალური პოლიტიკის შედეგით დაკავებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები, ალბათ, საგადასახადო ტვირთის პარამეტრებად 13,2% - 16,7%-იან შუალედს აირჩევენ. ასეთ პირობებში, გარდა იმისა, რომ მაღალია ბიუჯეტის შემოსავლები, ეკონომიკაც შესაბამისად იზრდება. ამრიგად, საგადასახადო ტვირთის 13,2% - 16,7%-იანი ინტერვალი საკონტროლო და საპროგნოზო, საორიენტაციო პარამეტრია.

2.2 საგადასახადო ტვირთის უთანაბრობა საქართველოში

მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის მიღწევის ღონისძიებების განხილვისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის დეტერმინანტებს. მეორე მხრივ, არანაკლებ საყურადღებოა, ქვეყნის საგადასახადო შემოსავლები და შესაბამისად, საგადასახადო განაკვეთების გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ მშპ არ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის, საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის კარგ საზომს. (Stiglitz,2009).

მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად მატერიალური ცხოვრების დონის დახასიათებისათვის უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ შემოსავლის, მოხმარებისა და სიმდიდრის მაჩვენებლებს. მეორე რიგის მაჩვენებელთა ნუსხას მიეკუთვნება ცხოვრების ხარისხის მახასიათებელი ინდიკატორები. კერძოდ, ისეთი ინდიკატორები როგორიცაა: ჯანმრთელობის

მდგომარეობა, განათლების მიღების შესაძლებლობა, საყოფაცხოვრებო პირობები, ფინანსური პრობლემები, სტაბილური სამუშაო და შრომითი პირობები, ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური კვალის ინდიკატორები.

მდგრადი განვითარების ერთ განზოგადებულ მაჩვენებელში გამოსახვა ერთობ რთული მეთოდოლოგიური ხასიათის სამუშაოა, რომელზეც ამჟამად დიდ ძალისხმევას მიმართავენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი. ჩემი აზრით, მოცემული ნაერთი ინდიკატორი უნდა ავაგოთ დაახლოებით ისე, როგორც ააგეს ჰუმანური განვითარების ინდექსი. ამრიგად, მდგრადი განვითარების ნაერთ ინდექსს შემდეგი სახე ექნება:

$$E_{SD} = \sqrt[3]{E_{EC} \times E_S \times E_{EN}} \qquad (5)$$

სადაც: E_{EC} - ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია, E_S - სოციალური ინდიკატორების ნაცცი სუბინდექსია, E_{EN} - გარემოს მახასიათებელი ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია, E_{SD} - მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსია.

მაკრო დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისათვის, ნაშრომში, შემოთავაზებულია ახალი ფორმულა, რომელიც გამოისახება შემდეგნაირად:

$$TB_{opt} = \frac{\sqrt[3]{T\,man\ X\ Tcon\ X\ Tacc}}{\sqrt[3]{Eec\ X\ Es\ X\ Een}} \cdot 100\ \% \qquad (6)$$

სადაც, TB_{opt} - ოპტიმალური საგადასახადო ტვირთია, T_{man} – გადასახადები პროდუქციის (სერვისის) წარმოებისგან, T_{con} – გადასახადები მოხმარებიდან, T_{acc} – გადასახადები დაგროვებიდან.

ახლა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ საწარმოების მიხედვით საგადასახადო ტვირთის საწარმოს მიხედვით გაანგარიშებაზე. ამ მიზნით ჩავატარეთ შესაბამისი კვლევა. როგორც ცნობილია, საწარმოს ტვირთი = (მოგების გადასახადი + ქონების გადასახადი + იმპორტის გადასახადი + საშემოსავლო გადასახადი + აქციზი) / მთლიან შემოსავალთან.

გამოკვლევას დავუქვემდებარეთ საქსტატის ინფორმაციულ ბაზაში არსებული 2013 წლის აქტიურ საწარმოთა 59028 ერთეული. აქედან დაკვირვების კომბინირებული სისტემის გამოყენებით გამოვიკვლიეთ 8515 საწარმო.[19] მათ შორის: მსხვილი – 3323, საშუალო 1949 და მცირე 3243 საწარმო. შერჩევა განვახორციელეთ სტრატიფიცირებული ჯგუფების გამოყოფით, ხოლო ჯგუფების შიგნით საწარმოების არჩევა მოვახდინეთ მარტივი შემთხვევითი შერჩევის მიხედვით.

ინფორმაციის დამუშავება მოვახდინეთ კომპიუტერული პროგრამების:MS Access; MS excel,SPSS გამოყენებით.

---

[19] კომბინირებული სისტემა გულისხმობს მსხვილი საწარმოების სრულად დაკვირვებას, ხოლო საშუალო და მცირე საწარმოების გამოკვლევას შერჩევითი მეთოდით.

ცხრილი N 13

საწარმოთა ტვირთი საწარმოების ტიპების (სიდიდის) მიხედვით

საწარმოთა ტიპები	საწარმოთა რაოდენობა	საშუალო საგადასახადო ტვირთი (%)
მსხვილი	3323	24,7
საშუალო	1949	26,1
მცირე	3243	28,3
სულ	8515	26,4

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

როგორც მოტანილი მონაცენები მეტყველებს, მთელი საწარმოების მიხედვით, საშუალო საგადასახადო ტვირთს თითქმის 2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება მსხვილ საწარმოთა ტვირთი. ეს განსხვავება კიდევ უფრო შესამჩნევია თავად მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის. კერძოდ, მცირე საწარმოთა საგადასახადო ტვირთი 3,6%-ით მეტია მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

არანაკლებ საინტერესო არის საგადასახადო ტვირთის ანალიზი საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (ცხრილი N14). მას შემდეგი სახე აქვს:

ცხრილიN 14

საწარმოს ტვირთი საქმიანობის სახეების მიხედვით 2013 წ

სექცია	საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობა	საშუალო საგადასახადო ტვირთი (%)
A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	31,4
B	თევზჭერა, მეთევზეობა	30,5
C	სამთომოპოვებითი მრეწველობა	28,0
D	დამამუშავებელი მრეწველობა	25,7
E	ელექტროენერგიის, აირისა და წყლის მომარაგება	25,5
F	მშენებლობა	27,1
G	ვაჭრობა, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი	23,4
H	სასტუმროებიდარესტორნები	25,1
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	27,4
K	ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარა	30,1
L	განათლება	31,1
M	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	32,4
N	სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	33,7
სულ	გამოკვლეული საწარმოები	26,4

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ტვირთის ანალიზისას ზოგადად ასეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა: ტვირთი მაღალია მომსახურების დარგებში და დაბალია საქონელმწარმოებელ დარგებში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საწარმოები განურჩევლად მათი სიდიდისა და საქმიანობის სახისა იხდიან ერთიდაიმავე ზომის განაკვეთის გადასახადებს.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების მიხედვით საგადასახადო ტვირთი რამდენადმე განსხვავებულია მსხვილი, საშუალო, მცირე საწარმოების, აგრეთვე სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საწარმოების მიხედვით, საწარმოთა საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე უფრო დეტალურ წარმოდგენას გვიქმნის საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოთა განაწილება დეცილურ (di) ჯგუფებად. მოცემულ შემთხვევაში საწარმოთა საგადასახადო ტვირთის მიხედვით რანჟირებული მწკრივი უნდა დავყოთ 10 თანაბარ ნაწილად. პირველი დეცილი (d_1) ერთობლიობას ყოფს $\frac{1}{10}-\frac{9}{10}$ -თან შესაბამისად, მეორე დეცილი (d_2) $\frac{2}{10}-\frac{8}{10}$ -თან და ა.შ.

დეცილების გაანგარიშება მოვახდინეთ იგივენაირად როგორც ანგარიშობენ მედიანას.

კერძოდ,

$$d_1 = \mathcal{X}d_1 + i \cdot \frac{(\frac{1}{10}\sum F - Sd_1 - 1)}{fd_1} \qquad (7)$$

$$d_9 = \mathcal{X}d_9 + i \cdot \frac{(\frac{9}{10}\sum F - Sd_9 - 1)}{fd_9}$$

ახლა ჩვენი დაკვირვების არეში მყოფი საწარმოები დავყოთ 10 ნაწილად (ცხრილი N15)

ცხრილი N15

საწარმოების განაწილება დეცილურ ჯგუფებად ტვირთის ზომის მიხედვით

ჯგუფის ნომერი	ტვირთის მინიმუმი	ტვირთის მაქსიმუმი	საწარმოთა რაოდენობა
1	20,002	26,996	2383
2	26,996	33,988	805
3	33,988	40,980	189
4	40,980	47,973	58
5	47,973	54,966	30
6	54,966	61,959	12
7	61,959	68,952	12
8	68,952	75,945	11
9	75,945	82,937	5
10	82,937	89,930	9

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე პირველი დეცილური ჯგუფის ნომერი

$$Nd_1=(\sum f)\cdot \frac{1}{10}= \frac{3514}{10}= 351,4$$

$$d_1 = 20,002+6992\cdot \frac{351,4-0}{2383}=21,033$$

მე - 9 დეცილური ჯგუფის ნომერი

$$Nd_9=(\sum f) \cdot \frac{9}{10}= 316,26$$

$$d_9= 26996 + 6992\cdot \frac{3162,6-2383}{805}= 33,7$$

მოტანილი გაანგარიშებების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოების მინიმალურ 10%-ს აქვს ტვირთის 21,03%-ი, ხოლო

უდიდესი ტვირთის მქონე საწარმოების ასევე 10%-ს კი ტვირთის 33,7 %-ი, რაც 1,6-ჯერ მეტია უმცირესზე.

ზემოთ მოტანილი კვლევა ცხადყოფს, რომ საგადასახადო განაკვეთები უნდა განსხვავდებოდეს როგორც საწარმოთა ტიპების (მსხვილი, საშუალო, მცირე), ასევე საწარმოთა საქმიანობის სახეების მიხედვით (ვაჭრობა, მოპოვებითი მრეწველობა, ენერგეტიკა, დამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ). კვლევის ძირითად შედეგებზე გაკეთებული დასკვნების საწარმოთა მენეჯერების წინადადებებთან შეჯერებით ჩავატარეთ 146 საწარმოს ემპირიული კვლევა. კვლევის შედეგები საწარმოთა ტიპების მიხედვით გადმოცემულია ცხრილში N16 :

ცხრილი N 16

146 საწარმოს გამოკითხვის შედეგი

საწარმოთა ტიპები	ამჟმად არსებული გადასახადები თქვენი საწარმოსთვის არის თუ არა მძიმე? (%)			საგადასახადო განაკვეთები უნდა განსხვავდებოდეს თუ არა საწარმოთა ტიპების მიხედვით? (%)			საგადასახადო განაკვეთები განსხვავებული უნდა იყოს თუ არა საწარმოთა საქმიანობის სახეების მიხედვით? (%)		
	მძიმეა	არ არის მძიმე	არ ისურვა კითხვაზე პასუხის გაცემა	უნდა განსხვავდებოდეს	ერთნაირი უნდა იყოს	არ ისურვა კითხვაზე პასუხის გაცემა	უნდა განსხვავდებოდეს	ერთნაირი უნდა იყოს	არ ისურვა კითხვაზე პასუხის გაცემა
მსხვილი	71	15	14	79	14	7	64	31	5
საშუალო	77	23	0	90	10	0	77	23	0
მცირე	70	30	0	90	10	0	66	34	0

გამოკითხულ მსხვილ საწარმოთა ორი მესამედი მიიჩნევს, რომ ამჟამად არსებული გადასახადები მძიმეა

მათი საწარმოთათვის. ამასთან, მათი საერთო რაოდენობის ოთხი მეხუთედი მიიჩნევს, რომ საგადასახადო განაკვეთები სიმძიმე-სიმსუბუქის მხრივ განსხვავებული უნდა იყოს საწარმოთა ზომის მიხედვით, ხოლო 64% თვლის, რომ საგადასახადო განაკვეთები ასევე განსხვავებული უნდა იყოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საწარმოთა ტიპებიდან საგადასახადო ტვირთის სიმძიმე - სიმსუბუქისა და საგადასახადო განაკვეთების დიფერენცირების მსურველთა ყველაზე დიდი წილი მოდის საშუალო საწარმოებზე.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მცირე საწარმოები საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქისა და საგადასახადო განაკვეთების დიფერენცირების საკითხებში ინარჩუნებენ იგივე კანონზომიერებებს რაც გამოვლინდა მსხვილ და საშუალო საწარმოებში. (Kbiladze, 2016).

დღესდღეისობით, ყველა თანხმდება, რომ გადასახადები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბიზნესის განვითარებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, მეცნიერები, ბიზნეს წრეების წარმომადგენლები და მთლიანად საზოგადოება განსხვავებულ ჭრილში განიხილავს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთს. ერთნი ამტკიცებენ, რომ ის ქვეყნები, სადაც მოქმედებს დაბეგვრის პროპორციული სისტემა, ხასიათდებიან ეკონომიკის მზარდი მაჩვენებლით და აღნიშნულის დასამტკიცელად იშველიებენ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მაგალითებს, სხვანი კი მიიჩნევენ, რომ დაბეგვრის პროგრესული სისტემა გამორიცხავს სოციალურ უთანასწორობას.

როგორც ბლუმმა და კალვენმა (1953) აღნიშნეს, ,,დაბეგვრის პროგრესული სისტემა თანამედროვე დემოკრატიული კაპიტალიზმის ცენტრალურ იდეად არის მიჩნეული და

ფართოდ განიხილება როგორც უსაფრთხო პოლიტიკური ვალდებულება, რომელიც არ საჭიროებს სერიოზულ შესწავლას''. მიტჩელი (2006) მიიჩნევდა, რომ ,,ფიქსირებული გადასახადი მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია, კერძოდ კი სწრაფი ეკონომკური ზრდის. ფიქსირებული გადასახადი სამუშაო ადგილების, დანაზოგისა და ინვესტიციების ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორია''. კაკვანი (1980) წერს, რომ ,,მას შემდეგ რაც პროგრესული საშემოსავლო გადასახადი დაინერგა, სახელმწიფოთა უმრავლესობა შემოსავლის გადანაწილებას ფისკალური პოლიტიკის მთავარ მიზნად მიიჩნევს''.

მასსო, ესპენბერგი, მასსო, მიერინა, ფილიპსი (2012) აღნიშნავდნენ, რომ ,,დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ბალტიის ქვეყნებში შემოსავლების უთანასწორობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. საბჭოთა პერიოდში კი შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი დაბალი იყო, ვინაიდან ცენტრალურად დაგეგმილი სისტემა მიზნად ისახავდა ხელფასების და შემოსავლების თანასწორობას, სრულ დასაქმებას, წარმოების საშუალებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებობას, მეწარმეებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას''.

გრაბკას (2015) მიხედვით, ,,2000 წლიდან მოყოლებული განსხვავება მდიდარი და ღარიბი ფენების შემოსავლებს შორის სულ უფრო იზრდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის 10%-მა მიიღო მთლიანი შემოსავლის 15%, მაშინ როცა საშუალო ფენის შემოსავლის მიმართულებით სტაგნაცია დაფიქსირდა, ხოლო დაბალი ფენის 40%-მა საერთოდ დაკარგა შემოსავალი''.

ყველა დროის მთავრობა დგას გამოწვევის წინაშე, განსაზღვროს საგადასახადო ტვირთი უნდა იყოს თუ არა თანაბარი სხვადასხვა შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის. ამ მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა შეფასებულიყო საქართველოს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი, შემოთავაზებულიყო მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია და გაკეთებულიყო შესაბამისი დასკვნები დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგერსულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

კვლევის ამოცანებია: 1) კვლევის თეორიული საფუძვლებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა; 2) მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის ემპირიული კვლევა; 3) დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე: 1) დაბალშემოსავლიანი, საშუალო შემოსავლიანი და მაღალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის საზღვრების დადგენა; 2) სხვადასხვა შემოსავლის მქონე მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის განსაზღვრა დეცილური ჯგუფების მიხედვით; 3) საგადასახადო ტვირთის ფორმულაში ახალი კომპონენტების დამატება და ფორმულის გათანამედროვება.

კვლევის მეთოდებია: 1) მიზნობრივი მეცნიერული შეფასებისთვის ნაშრომში გამოყენებულია მონოგრაფიული და აღწერილობითი ანალიზი; 2) მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის თეორიული და ემპირიული საზღვრების შეფასებისთვის და ახალი მეთოდოლოგიის განსაზღვრისათვის გამოყენებულია მეტა ანალიზი; 3) შერჩევითი სტატი-

სტიკური დაკვირვების მეთოდი (ემპირიული მონაცემები 49 111 ფიზიკური პირის მიხედვით) 4) საგადასახადო სფეროში შესაბამისი ანალიზისა და დასკვნების გასაკეთებლად გამოყენებულია მეთოდოლოგიური განმარტებები.

საქართველოში მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ანალიზი

მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას ტრადიციულად მხედველობაში იღებენ საშემოსავლო გადასახადის და ქონების გადასახადის შეფარდებას მოსახლეობის ფულად შემოსავლებთან. ამრიგად, ზემოაღნიშნული შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ფორმულით:

მსტ = (მდგ/მფშ) x 100%

სადაც, მსტ - მოსახლეობის საგადასახადო ტვირთია; მდგ - მოსახლეობის დარიცხული გადასახადებია; მფშ - მოსახლეობის ფულადი შემოსავლები.

საგადასახადო ტვირთი მოსახლეობისათვის განვიხილოთ როგორც ცენტრალური ისე მუნიციპალურ მმართველობაში დაწესებული გადასახადებისა და გადასახდელების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში ფორმულის მრიცხველს დაემატება კომუნალური გადასახადები (წყალი, ელ. ენერგია, გაზი, დასუფთავების გადასახადი, საქალაქო სატრანსპორტო გადასახადი). რაც შეეხება მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გასაანგარიშებელი ფორმულის მნიშვნელს, აქ აუცილებელია ასახვა ჰპოვოს მოსახლეობის შემოსავლებმა (როგორც დაქირავებული შრომით მიღებულმა ისე თვითდასაქმებით) ასევე მოსახლეობის სიმდიდრის მაჩვენებელმა. ევროკავშირში უკვე ითვალისწინებენ მოსახლეობის შემო-

სავლების კვლევებს, რომელთა შორის ფულად და სხვა სახის შემოსავლებს უმატებენ მოსახლეობის სიმდიდრის მაჩვე-ნებლებს. ეს გარემოება იმით არის გათვალისწინებული, რომ მოსახლეობას შეიძლება არ ჰქონდეს სტაბილური მიმდინარე შემოსავალი, მაგრამ ეს მათ ნაკლებად აწუხებთ იმის გათვალისწინებით, რომ მათ ჰქონდეთ მიმდინარე და წინა თაობების მიერ დაგროვილი ქონება და მათი მთავარი ამოცანაა ეს სიმდიდრე აქციონ სტაბილური შემოსავლის წყაროდ. კონცეპტუალური თვალსაზრისით, შემოსავლების გვერდით სიმდიდრის ელემენტების განთავსება მისაღები თეზაა, თუმცა რამდენად სარწმუნო და უტყუარი იქნება მოსახლეობის მიერ ოფიციალურ ორგანოებში წარმოდგე-ნილი ინფორმაცია, ეს საკითხავია. ასეთი ინფორმაციის მოპოვების კარგ საშუალებად გვესახება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალებთან ერთად შინამეურნეო-ბებში მცხოვრები თითოეული წევრის მიხედვით შემოსავლე-ბსა და სიმდიდრეზე სააღწერო დეკლარაციების შევსება, რა თქმა უნდა, მათი გამჟღავნებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის გარანტიებით.

ზემოთ მოტანილ ფორმულაში, კერძოდ, მის მრიცხვე-ლში ქონების გადასახადის შემოტანამ შეიძლება ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიოს მოქალაქეთა იმ კატეგორიაში, ვინც ფლობს საკმაოდ დიდი მოცულობის უძრავ ქონებას. მოცემული გადასახადის განაკვეთიდან გამომდინარე მსოფლიოს ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით მოსახლეობის მაღალმა საგადასახადო ტვირთმა შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს ეკონომიკაზე, თუმცა ეკონომიკისათვის ასევე მიუღებელია დაბალი საგადასახადო ტვირთიც. დაბალმა განაკვეთმა მიწასა და სხვა უძრავ ქონებაზე შეიძლება გამოიწვიოს

სპეკულაციური საინვესტიციო გარიგებები და უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალური შემოსავლებისა და შესაბამისად, მუნიციპალური პროგრამების შესრულებაში ხელის შეშლა.

მოსახლეობის ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის შეფასება მუდმივ მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხია და მისი გაანგარიშება სასურველია ოფიციალური ორგანოების მიერ ყოველწლიურად მოხდეს. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული შინამეურნეობების შემოსავლების მონაცემებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო გადასახადის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის მახასიათებელი მაჩვენებლების აგება.

ცხრილი N17

საქართველოს მოსახლეობის საგაადსახადო ტვირთი 2005-2011 წლებში

მაჩვენებლები	2005	2008	2009	2010	2011
1. მოსახლეობის წლიური შემოსავლები მლნ. ლარი	4238,4	6536,4	6904,8	7790,4	8533,2
2. საშემოსავლო გადასახადი მლნ. ლარი	290,7	1296,3	1119,0	1202,1	1551,1
3. მოსახლობის საგადასახადო ტვირთი (%)	6,8	19,8[20]	16,2	15,4	18,1

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

[20] 2008 წელს 2005 წელთან შედარებით საგადასახადო ტვირთის ასეთი ზრდა განპირობებულია საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით - გაუქმდა სოციალური გადასახადი, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაიზარდა 12-დან 25 %-მდე.

მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებაში სათანადო სტატისტიკური მასალის უქონლობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო მოსახლეობის ქონების მაჩვენებლებმა, რომელიც ექსპერტული შეფასებით სულ მცირე ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით დაახლოებით 140 ათასი ლარის (78 ათასი აშშ დოლარის იმ დროინდელი კურსით) ექვივალენტურია, (საქართველოს ეკონომიკა, სიახლე, 2012) რაც ბუნებრივია გაზრდიდა ტვირთის მახასიათებელ მაჩვენებლებს.

ჩემი აზრით, შემდეგი ნაბიჯი რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფიზიკური პირების დაბეგვრას - ესაა პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის შემოღება ე.ი საშემოსავლო გადასახადი უნდა გაიზარდოს ხელფასისა და სხვა სახის შემოსავლების ზრდასთან ერთად. ასეთი პრაქტიკა ამჟამად საქართველოში არ არის დამკვიდრებული და საარსებო მინიმუმის ზემოთ მყოფი მოსახლეობა განურჩევლად ყოველთვიური სახელფასო შემოსავლის სიდიდისა, იხდის მის 20%- ს. აღნიშნული არ მიგვაჩნია სამართლიან ნორმად, რადგან სხვადასხვა შემოსავლის მქონე ადამიანები არ შეიძლება იბეგრებოდნენ თანაბარი საპროცენტო განაკვეთით, რადგან ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ტვირთი და ცხოვრების პირობები მცირე შემოსავლიან ფიზიკურ პირს გაცილებით მძიმე ექნება.

ამჟამად, საშემოსავლო გადასახადი ქვეყნის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და მის სტრუქტურაში სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს. მოცემული გადასახადი მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის განმსაზღვრელი მაჩვენებელია და ამდენად, იგი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მოცემული გადასახადი ასრულებს როგორც

ფისკალურ ფუნქციას, ისე სოციალურ ფუნქციას. მას შეუძლია ასევე შეასრულოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, ეს არის გამანაწილებელი ფუნქცია. თუმცა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განმარტებული მოცემული გადასახადის 20 პროცენტიანი განაკვეთი ასეთი ფუნქციის შესრულებას აფერხებს და ვერ უზრუნველყოფს საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნას ,,მდიდრები იხდიან მეტს, ვიდრე ღარიბები''.

ახლა გავაანალიზოთ თუ როგორ გამოიყურება ქვეყანაში დაქირავებით მომუშავეების, მათი დარიცხული ხელფასისა და საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა 2007-2011 წლების მიხედვით.

ცხრილი N18

დაქირავებით მომუშავეები, მათი დარიცხული ხელფასი და საგადასახადო შემოსავლები 2007-2011 წლების მიხედვით

მაჩვენებლები	2005	2008	2009	2010	2011
1. დაქირავებით მომუშავეები ათ.კაცი	625,4	572,4	596,0	618,6	632,0
2. ყოველთვიური საშუ-ალო ხელფასი, ლარი	368,1	534,9	556,8	597,6	636,0
3. საშემოსავლო გადა-სახადი მლნ.ლარი (%)	526,9	1296,3	1119,0	1202,1	1551,1

წყარო: ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს 2007-2011 წლებში დაქირავებით მომუშავეების საშუალოდ ყოველწლი-ურად 1,60 ათასი კაცით მომატების პირობებში, ყოველ-

თვიური საშუალო ხელფასი იზრდებოდა 1,2-ჯერ, ხოლო საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი 1,3-ჯერ. ხელფასისა და საშემოსავლო გადასახადის ესოდენ სწრაფი ზრდის პირობებში სულ უფრო აქტუალურია დაქირავებით მომუშავე ადამიანების ხელფასის დონის მიხედვით საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო განაკვეთის დიფერენციაციის საკითხის დღის წესრიგში დაყენება.

ჩვენს მიერ წამოყენებულ იდეას ამტკიცებს, ერთი მხრივ, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხელფასის და, მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლები მოსახლეობის ღარიბი და მდიდარი ფენების მიხედვით.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის შემოსავლების დეცილურ ჯგუფებად განაწილების მონაცემები მეტყველებენ, 2000 წლიდან მოყოლებული, მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის წილად მოდის მოსახლეობის მთელი შემოსავლების დაახლოებით 35%, ეს მაშინ როდესაც ყველაზე ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებს მოსახლეობის მთელი შემოსავლების მხოლოდ 1% უჭირავს. დაახლოებით ასეთივე პროპორციებია შენარჩუნებული საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით, რომელსაც მოსახლეობის შემოსავლებში ყვეელაზე დიდი წილი უჭირავს.

მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის ანალიზის მიზნით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროოს მონაცემების საფუძველზე ჩავატარე კვლევა. კერძოდ, ჩემი მიზანი იყო განმესაზღვრა თუ როგორ იყო განაწილებული საგადასახადო ტვირთი დეცილური ჯგუფების მიხედვით. კვლევას დავუქვემდებარეთ 49 111 ფიზიკური პირი. თითოეული ფიზიკური პირის მიხედვით

გავიანგარიშეთ საშემოსავლო საგადასახადო ტვირთი და ამერიკელი მეცნიერის სტერჯერსის ფორმულის გამოყენებით h=(Xmax-Xmin)/n მოვახდინეთ ტვირთის კოეფიციენტის მიხედვით საწარმოთა დაჯგუფება 10 ჯგუფის მიხედვით.

ფიზიკურ პირთა გენერალურ ერთობლიობაში ტვირთის მინიმალური კოეფიციენტი იყო 1 ხოლო მაქსიმალური-20. დასაჯგუფებლად სასურველ ჯგუფებთა რაოდენობა-10, ე.ი n=10. ზემოთ განხილულ ფორმულაში მნიშვნელობების შეტანით h ანუ ტვირთის მიხედვით ინტერვალის სიდიდე ტოლი იქნება h = (20- 1)/10=1,9. მოცემული ინტერვალის მიხედვით მოვახდინეთ ფიზიკური პირების დაჯგუფება.

ცხრილი N19

ფიზიკური პირების განაწილება საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის მიხედვით

ჯგუფები ტვირთის კოეფიციენტების მიხედვით	ფიზიკური პირების რაოდენობა
1 – 2,9	25127
2,9 – 4,8	8121
4,8 – 6,7	3414
6,7 – 8,6	1795
8,6 – 10,5	1270
10,5 – 12,4	1005
12,4 – 14,3	894
14,3 – 16,2	861
16,2 – 18,1	932
18,1 – 20,0	5692
სულ	49111

დეცილური ჯუფების გაანგარიშებისათვის თავდაპირველად გავიანგარიშოთ მოდისა და მედიანის მაჩვენებლები. როგორც ვიცით ინტერვალური ვარიაციული მწკრივისათვის მოდის გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$M_0 = x_0 + i\frac{(f_{Mo} - f_{Mo-1})}{(f_{Mo} - f_{Mo-1}) + (f_{Mo} - f_{Mo+1})} \qquad (8)$$

N 19 ცხრილის მონაცემების მოდის ფორმულაში შეტანით მივიღებთ შემდეგს:

$$M_0 = 1 + 1{,}9\frac{(25127-0)}{(25127-0)+(25127-8121)} = 2{,}13$$

ამრიგად, ყველაზე გავრცელებული საშემოსავლო საგადასახადო ტვირთი ფიზიკურ პირებს შორის შეადგენს 2,13. ახლა გავიანგარიშოთ ტვირთის მედიანური მაჩვენებელი ფორმულით.

$$Me = x_0 + i\frac{\frac{1}{2}\Sigma f_i - S_{me-1}}{fMe} \qquad (9)$$

მოცემულ ფორმულაში N19 ცხრილის მონაცემების შეტანით მივიღებთ:

$$Me = 1 + 1{,}9\frac{\frac{1}{2}(49111-0)}{25127} = 2{,}85$$

ამრიგად, ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის შუა ნაწილი გადის ფიზიკურ პირებზე ტვირთის კოეფიციენტით - 2,85. ფიზიკური პირების

საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის სიმძიმე- სიმსუბუქის დახასიათებისათვის მოდალურ და მედიანურ მაჩვენებლებთან შედარებით უფრო დეტალურ დახასიათებას გვაძლევს ტვირთის დახასიათება დეცილურ ჯგუფებად. განსაკუთრებით საინტერესოა, რა ხდება პირველ და ბოლო ჯგუფებში. ამისთვის თავდაპირველად გავიანგარიშოთ შემოსავლის პირველი დეცილი ფორმულით:

$$D_1 = X_{D_1 \min} + \frac{i \cdot \frac{1}{10} \sum f_1 - S_{D_1 - 1}}{f_{D_1}} \tag{10}$$

მოცემულ ფორმულაში შევიტანოთ N19 ცხრილის მონაცემები:

$$D_1 = 1 + 1{,}9\,\frac{(4911 - 0)}{25127} = 1{,}37$$

ახლა იგივე წესით გავიანგარიშოთ მე-9 დეცილი:

$$D_9 = X_{d9} + \frac{i \cdot \frac{9}{10} \sum f_1 - S_{D_9 - 1}}{f_{D_9}} = 18{,}1 + 1{,}9 \cdot \frac{\left(\frac{9}{10} \cdot 49\,111\right) - 43\,419}{5692} = 18{,}3 \quad (11)$$

ახლა გავიანგარიშოთ ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის კონცენტრაციის კოეფიციენტი:

$$K_{\text{კონც}} = (D_9 / d_1) = 18{,}36 / 1{,}37 = 13{,}6 \tag{12}$$

ამრიგად, ყველაზე მაღალი საგადასახადო ტვირთის მქონე ფიზიკური პირების 10% 13,6-ჯერ აჭარბებს ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთის მქონე ფიზიკური პირების 10%-ს.

კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი განსხვავებულია მათი შემოსავლების მიხედვით, მაშინ როცა საგადასახადო კოდექსის მიხედვით

საგადასახადო ვალდებულება ყველასთვის ერთნაირია. საგადასახადო ტვირთის უთანაბრობა კიდევ უფრო შესამჩნევია მოსახლეობის შემოსავლების დეცილურ ჯგუფებად დაყოფის ანალიზის შედეგად. კვლევამ ცხადჰყო, რომ მოსახლეობის შემოსავლების დაბეგვრის პროპორციული სისტემა შესაძლებელია შეიცვალოს დაბეგვრის პროგრესული სისტემით, მეტ ყურადღებას საჭიროებს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე, გლობალური პროცესები. (Kbiladze, Kbiladze, 2016).

თავი 3. ახალი საგადასახადო პარადიგმის მიების ღონისძიებები

3.1 ეკონომიკის მდგრადი განვითარების საგადასახადო ტვირთის ფორმირების შესაძლო საზღვრები

დისკუსია ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონცეფციის შესახებ ახალი არ არის, კონცეფცია მდგრადობის შესახებ რომელიც იქმნება, ვითარდება და იხვეწება ათწლეულების მანძილზე და ეფუძნება ბრუნტლანდის ანგარიშს (WCED, 1987), მოიცავს სამ მიმართულებას: ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს დაცვის საკითხებს. (Rogall, 2008).

მოცემული საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა და მისი ახალი კონცეფციის შესამუშავებლად დებატები მეცნიერებს შორის განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზის შემდგომ პერიოდში. აღნიშნულ პრობლემატიკას მიეძღვნა სტიგლიც-ფიტუსის აღიარებული მოხსენება რომელიც გამოქვეყნდა 2009 წელს, სადაც გადმოცემულია ქვეყნის ეკონომუკური, სოციალური და ეკოლოგიური პროგრესის შეფასების ახალ მაჩვენებელთა მეთოდოლოგია. მოცემული ასპექტით ყურადღებას იმსახურებს OECD-ის და ევროსტატის ახალი ინდიკატორებიც.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ დისკუსიებში სათანადო დოზით არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ფინანსებისა და კერძოდ, გადასახადების როლი მდგრადი განვთარების უზრუნველყოფაში, ეს მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით გადასახადების წილი მშპ-ში შეადგენს 40%-ს (ევროსტატი, 2015), ასევე აღნიშვნასაც არ საჭიროებს ის გარემოება, რომ საგადასახადო სისტემები ძირითადად

ეკონომიკურ ზრდას უნდა უწყობდნენ ხელს. (Arnold, 2011; Acosta-Ormaechea and Yoo, 2012).

მდგრადი განვითარების ერთ განზოგადებულ მაჩვენებელში გამოსახვა ერთობ რთული მეთოდოლოგიური ხასიათის სამუშაოა, რომელზეც ამჟამად დიდ ძალისხმევას მიმართავენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი. ჩემი აზრით, მაკრო დონეზე, ეკონომიკის განვითარების შესაძლო საზღვრები შემდეგნაირად გამოისახება:

$$E_{SD} = \sqrt[3]{E_{EC} \times E_S \times E_{EN}} \quad (13)$$

სადაც: E_{EC} - ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია, E_S - სოციალური ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია, E_{EN} - გარემოს მახასიათებელი ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია, E_{SD} - მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსია.

ჩვენს მიერ მოტანილ ფორმულაში მოცემულია მცდელობა მოვახდინოთ მდგრადობის რაოდენობრივი შეფასება, თუმცა მდგრადობა ასე ცალსახად რთულად გასაზომი დეფინიციაა, ეს ის შემთხვევაა როდესაც ერთ ინდექსში უნდა გამოვსახოთ ცალკეული მაჩვენებელთა შრეების მიხედვით როგორც მონეტარული, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები. მდგრადობაში შემავალი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის და ეკოლოგიური გარემოს მახასიათებელი მაჩვენებლები საჭიროა ვიანგარიშოთ ცალ-ცალკე და შემდგომ მოვახდინოთ მდგრადობის ერთ მაჩვენებლად გამოსახვა.

მდგრადობის დახასიათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ეკოლოგიური კვალი.მისი გაანგარიშების

მეთოდოლოგიის საინტერესო ვარიანტი შესთავაზა მსოფლიოს ეკონომიკურ საზოგადოებას ფრანგმა მკვლევარებმა. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი როგორიც არის კლიმატის ცვლილება დღეისათვის თითოეული ქვეყნისათვის იქცა გლობალური მასშტაბის პრობლემად და მისი ამჟამინდელი მდგომარეობა რეალურ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს თითოეული ქვეყნის მდგრად განვითარებას, იმიტომ, რომ ბუნებაში მავნე გამონაბოლქვებს და მათ გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში არ გააჩნია არც ეკონომიკური და არც საბაჟო საზღვრები. მსოფლიოში კლიმატის შეცვლის ერთ-ერთი მაჩვენებლი არის ,,ნახშირჟანგის კვალი'' (Плато,2011), იგი შეტანილი არის უმეტესი ქვეყნის მიერ მდგრადი განვითარების მახასიათებელ ერთ-ერთ საბაზო ინდიკატორად. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ეკოლოგიური კვალის საერთაშორისოდ აღიარებული ინდიკატორის შესატყვისი ეკოლოგიური კვალის გადასახადის შემოღება. მოცემული გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს საერთაშორისოდ აღიარებულ და ნაციონალურ მთავრობებთან შეთანხმებულ ვალუტაში და იგი უნდა მოხმარდეს ნახშირჟანგის მავნე გამონაბოლქვის გასანეიტრალებლად მსოფლიოში მწვანე ნარგავების გაშენებას. ამ წინადადების მაკოორდინირებელ ორგანოდ შეიძლება განვიხილოთ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციები.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა ისეთი საგადასახადო პარადიგმის შემუშავება რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტიურობის ზრდას და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ახალი პარადიგმის უმნიშვნელოვანეს შემადგენლად მიგვაჩნია საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურიბის უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამ მიმა-

რთულებით საქართველოს საგადასახადო სისტემაში ბოლო პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები, კერძოდ, გადასახადების რაოდენობა შემცირდა 21-დან 6-მდე (2004-2008წწ), ასევე შემცირდა ზოგიერთი საგადა-სახადო განაკვეთი. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ამჟამად მოქმედებს 6 გადასახადი, მათ შორის, 5-საერთო-სახელმწიფოებრივი და 1-ადგილობრივი გადასახადია: 1.დამატებული ღირებულების გადასახადი; 2.საშემოსავლო გადასახადი; 3. მოგების გადასახადი; 4.აქცი-ზი; 5.ქონების გადასახადი; 6.იმპორტის გადასახადი. აღნიშ-ნული რეფორმებისა და მთლიანად საგადასახადო ადმინის-ტრირების პროცესის გაუმჯობესების შედეგად საგადა-სახადო შემოსავლების ჯამობრივი მაჩვენებლები ქვეყანაში 2015 წელს 2005 წელთან შედარებით 1,7-ჯერ გაიზარდა.

ახალი საგადასახადო პარადიგმის ძიების ღონისძი-ებებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხია როგორც საქართ-ველოსთვის ისე რიგი სხვა სახელმწიფოებისათვის გადასახა-დების რაოდენობათა და მათი განაკვეთების შემდგომი შემცირების საკითხის განხილვა.ბუნებრივია, ისმის კითხვა რომელმა ერთმა გადასახადმა უნდა შეცვალოს ამჟამად მოქმედი 6 სახის გადასაახდი.ასეთ გადასახადად გვესახება გადასახადი გაყიდვებიდან.საინტერესოა, მოცემულ ნოვა-ციას როგორ უყურებს ბიზნეს წრეების წარმომადგენლები? საქართველოში 6 სახის გადასახადიდან 1 გადასახადამდე დასვლა წარმოადგენს მითს თუ რეალობას? მოცემული პრობლემის გასარკვევად მოვახდინე სხვადასხვა ტიპის (მსხვილი, საშუალო, მცირე) საწარმოთა მენეჯერების გამოკითხვა, დასმულ კითხვაზე 6 გადასახადის ნაცვლად 1 გადასახადის შემოღებას დადებითად უყურებს მენეჯერთა 62%, საწარმოთა ტიპების მიხედვით ასეთი ცვლილების

მომხრეები სჭარბობენ მსხვილ საწარმოებში. გამოკვლევით დადგინდა, რომ მეწარმეებს მიაჩნიათ რომ წლის მანძილზე გაყიდვებიდან მიღებული თანხის ბიუჯეტში გადასახადის სახით შეტანილმა თანხამ საშუალოდ უნდა შეადგინოს 14%. საწარმოთა ტიპების მიხედვით მოცემულ მაჩვენებელთა შორის ვარიაცია უმნიშვნელოა. კვლევამ გვიჩვენა ის რასაც ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, მეწარმეები თავიანთი შინაგანი სამეწარმეო მოტივაციით განწყობილნი არიან გადაიხადონ რაც შეიძლება მცირე გადასახადი რაშიც დავრწმუნდით კვლევის პროგრამით გათვალისწინებული მესამე კითხვაზე მიღებული პასუხების დამუშავებით. კერძოდ, ამჟამად არსებული 6 სახის გადასახადის ჯამობრივ თანხას საწარმოთა მიერ განხორციელებულ წლიურ გაყი-დვებში უჭირავს 2 ჯერ მეტი ვიდრე მეწარმეებს მიაჩნიათ რომ უნდა იხდიდნენ 1 გადასახადის შემოღების პირობებში. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ასახულია ცხრილში N20:

ცხრილი N20

მეწარმეთა გამოკითხვის შედეგები საგადასადო შემოსავლების შემდგომ შემცირებასთან დაკავშირებით

საწარმოთა ტიპები	სულ საწარმოები	მსხვილი	საშუალო	მცირე	ყველა ტიპის საწარმო	მსხვილი	საშუალო	მცირე	ყველა ტიპის საწარმო	მსხვილი	საშუალო	მცირე
1.6 გადასახადის 1 გადასახადით ჩანაცვლება												
დადებითი მოვლენაა	105	53	27	25								
უარყოფითი მოვლენაა	44	19	11	14								
2. გამოკითხული მეწარმეები მიიჩნევენ რომ წლიური გაყიდვებიდან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები უნდა შეადგენდეს: (%):					14	13	15	15				
3. არსებული 6 გადასახადიდან ბიუჯეტში შესული თანხა შეადგენს: (%):									29	25	30	33

საგადასახადო სფეროში რეფორმების გაგრძელების მნიშვნელოვან ღონისძიებად გვესახება ქვეყნის ხელისუფლების ინიციატივა ესტონური გამოცდილების საქართველოს სინამდვილეში შემოტანა. კერძოდ, საკითხი ეხება მოგების გადასახადის რესტრუქტურიზაციას. აღნიშნული გადასახადის რეფორმა, რომელიც 2017 წლიდან მოქმედებს მოგების გადასახადის განაწილებული მოგების გადასახადით ჩანაცვლებას გულისხმობს, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია/საწარმო მოგების გადასახადით მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში დაიბეგრება, ხოლო თუ მის სრულ რეინვესტირებას მოახდენს, გათავისუფლდება შესაბამისი გადასახადისაგან.[21]

დღესდღეისობით, ყველა თანხმდება, რომ გადასახადები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბიზნესის განვითარებაში. (Kbiladze, Kbiladze, 2016). მაკრო დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია ახალი ფორმულის შემოთავაზება, რომელიც გამოისახება შემდეგნაირად:

$$TB_{opt} = \frac{\sqrt[3]{T\,man\ X\ Tcon\ X\ Tacc}}{\sqrt[3]{Eec\ X\ Es\ X\ Een}} \cdot 100\ \% \qquad (14)$$

სადაც, TB_{opt} - ოპტიმალური საგადასახადო ტვირთია, T_{man} – გადასახადები პროდუქციის (სერვისის) წარმოებისგან, T_{con} – გადასახადები მოხმარებიდან, T_{acc} – გადასახადები დაგროვებიდან.

კვლევამ გამოავლინა რომ თანამედროვე ინტერაქტიულ მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური

[21] http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1342&lang=geo

პროცესების ფონზე რაც უკავშირდება მდგრადი განვითარების გარშემო ინოვაციური ინდიკატორების შემოღებას, სათანადო გააქტიურებასა და ყურადღებას იმსახურებს მდგრადი განვითარების საგადასახადო ტვირთის ფორმირების პრობლემები. ნაშრომში განხილულია ახალი საგადასახადო პარადიგმის ზოგიერთი პოსტულატური საკითხი, რომელიც ემპირიულ კვლევებს და საგადასახადო სფეროს რეფორმირების თანამედროვე მიდგომებს ეფუძნება, რაც საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდისკენ არის მიმართული. ნაშრომში შემოთავაზებულია მდგრადი განვითარების საგადასახადო ბარიერების ფორმირების შესამლო საზღვრები და მისი ზოგიერთი ინდიკატორი.

3.2 ახალი საგადასახადო პარადიგმის ქართული პოსტულატები

საგადასახადო პარადიგმის არჩევაში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამჟამად მიღწეული დონის შესაბამისად და სამომავლო ხედვების გათვალისწინებით რამოდენიმე ეტაპი უნდა გამოვყოთ.

პირველი, ესაა გადასახადების სფეროში თეორიისა და პრაქტიკის ისეთი სინთეზი, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის საწყისი ეტაპიდან. საქართველოში გადასახადებისა და შესაბამისად, საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების მეთოდოლოგია თანხვედრაშია ევროპულ ანალოგებთან. თუმცა, ამ სფეროში ჩვენი ქვეყნის დასავლური მოძრაობის გზაზე რამოდენიმე სტრუქტურული მიმართულებაა გასათვალისწინებელი.

მეორე, გადასახადების სფეროში საქართველოს ევროპული არჩევანის რეალიზაციისას საჭიროა მივაღწიოთ საგადასახადო სამართლიანობას, კერძოდ, საგადასახადო განაკვეთები უნდა განსხვავდებოდეს როგორც საწარმოთა ტიპების (მსხვილი, საშუალო, მცირე) ისე ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (საქონელმწარმოებელი დარგები და მომსახურების სფერო), ანუ დაბეგვრის არსებული პროპორციული სისტემა უნდა შეიცვალოს დაბეგვრის პროგრესული სისტემით. ზემოაღნიშნულს ამყარებს წინამდებარე პროექტის ფარგლებში ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგები. კერძოდ, საგადასახადო ტვირთი მცირე საწარმოების მიხედვით 3,6%-ით მეტია მსხვილი საწარმოების ტვირთზე. საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით იგივე კვლევის საფუძველზე გამოვლენილია, რომ ტვირთი მომსახურების სფეროს დარგებში მეტია ვიდრე საქონელმწარმოებელ დარგებში. საგადასახადო ტვირთის უთანაბრობა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება საწარმოთა დეცილური ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, საწარმოთა საერთო რაოდენობაში უდიდესი საგადასახადო ტვირთის მქონე საქარმოთა 10%-ის ტვირთი 1,6-ჯერ სჭარბობს მინიმალური ტვირთის მქონე საწარმოთა საგადასახადო ტვირთს. საგადასახადო ტვირთის უთანაბრობაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ჩატარებული 146 საწარმოს კოგნიტური კვლევის შედეგი. კერძოდ, მათი ორი მესამედი მიიჩნევს, რომ მათი ამჟამინდელი ტვირთი მძიმეა, ოთხ მეხუთედს მიაჩნია, რომ ტვირთი განსხვავებული უნდა იყოს საწარმოთა ზომის მიხედვით.

საგადასახადო პარადიგმის ფორმირების ამჟამინდელ ეტაპზე, ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოსტულატად მიგვაჩნია მოგების გადასახადის

რესტრუქტურიზაცია, რომელიც მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული რეფორმა 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია მოგების გადასაადით მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში დაიბეგრება, ხოლო თუ მის სრულ რეინვესტირებას მოახდენს მაშინ გათავისუფლდება შესაბამისი გადასახადისგან.[22] გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული ინიციატივა დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე ვინაიდან იგი სტიმული იქნება ინვესტორებისათვის ახალი ბიზნესის დასაწყებად. მოცემული რეფორმის ერთ-ერთი რისკი დაკავშირებულია მოკლევადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებასთან. მოცემულის საკომპესაციოდ მთავრობამ გარკვეული ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, მოიმატა აქციზის გადასახადის საპროცენტო განაკვეთმა თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე.

მოგების გადასახადის რესტრუქტურიზაციის პირველ შედეგებს, 2017 წლის მიხედვით, საწარმოთა დეკლარაციების ანალიზი გვიჩვენებს. ვფიქრობთ, აღნიშნული რეფორმა გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი შედეგის მომტანი იქნება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მხრივ.

მესამე, ახალი საგადახადო პარადიგმაზე მსჯელობისას საქართველო მონაწილე უნდა გახდეს იმ დისკუსიისა, რომელიც საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ინიციატივით შექმნილი მსოფლიოს ავტორიტეტული მეცნიერების მონაწილეობით ჩამოყალიბებული კომისიის მიერ შემუშავებული ,,ეკონომიკური ზრდისა და

[22] http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1342&lang=geo

სოციალური პროგრესის მოხსენებას'' ეხმიანება. მოცემულ მოხსენებაში (იგი ნობელის პრემიის ლაურეატის, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ჯოზეფ სტიგლიცის კომისიითაა ცნობილი) ფართოდ არის გაშუქებული ეკონომიკური ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პროგრესის შეფასების ინოვაციური ინდიკატორები. მოცემულ, საყოველთაოდ აღიარებულ მოხსენებაზე დაყრდნობით, რომელიც ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების პრევენციის ინოვაციურ ინდიკატორებს შეიცავს, საჭიროდ მიგვაჩნია ქვეყნის მიხედვით ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გასაანგარიშებელი ახალი დეტერმინანტები და მათი შესაძლო საზღვრების წარმოდგენა. ამის შესახებ საუბარი კი წინამდებარე კვლევის 3.1 საკითხშია მოცემული.

დასკვნა

საგადასახადო პარადიგმა საქართველოს სინამდვილეში იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობაა, რომელიც აყალიბებს სახელმწიფო გადასახადებთან დაკავშირებულ, შეთანხმებულ ჩარჩო მოდელს, რომლის ფარგლებშიც ოპერირებენ მეცნიერები. საგადასახადო პარადიგმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე გარკვეულ ევოლუციას განიცდის.

წინამდებარე კვლევაში რიგ სხვა საკითხებთან ერთად პასუხი აქვს გაცემული ერთ ტრივიალურ კითხვას, ეკონომიკის მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს საგადასახადო შემოსავლების ზრდა თუ პირიქით, სტაბილურმა და მოქნილმა საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება? პასუხი შემდეგია: ორივე ფაქტორი ერთმანეთზეა დამოკიდებული და სასურველი საბოლოო შედეგების მიღება შესაძლებელია მჭიდრო კორელაციის პირობებში.

მოცემული კვლევის ფარგლებში არა მარტო პარადიგმის შემადგენელ კომპონენტებზეა საუბარი, არამედ ემპირიული კვლევების საფუძველზე გამოკვლეულ- გაანალიზებულია პარადიგმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტები. საქსტატის უკანასკნელი წლების მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ამრიგად, ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია შემოსავლების ზრდასთან.

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე დონის შესატყვისი საგადასახადო პარადიგმას მიკუთვნებული

საკითხების კვლევის შედეგები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- მიკრო და მაკრო დონეებზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის მიზნით, გადასახადის ორადი ბუნებიდან გამომდინარე შემუშავებულია მეთოდოლოგია, რომელიც საქსტატში არსებული 9735 საწარმოს კვლევას ეფუძნება.
- 2011 და 2013 წლების საგადასახადო ტვირთის ემპირიული კვლევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ტვირთი უფრო მაღალია მომსახურების სფეროს დარგებში ვიდრე საქონელმწარმოებელ დარგებში.
- საგადასახადო ტვირთი განსხვავებულია მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიხედვით. იგი უფრო მძიმეა მცირე საწარმოების მიხედვით ვიდრე მსხვილი საწარმოების მიხედვით;
- საგადასახადო ტვირთის უთანაბრობა კიდევ უფრო შესამჩნევია ტვირთის დეცილური ჯგუფების მიხედვით;
- საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის უთანაბრობის ემპირიული მონაცემების კვლევის შედეგები დაადასტურა უკვე იმავე საკითხებზე მეწარმეთა კოგნიტური კვლევის შედეგებმა, რომლის მიხედვით გამოკითხულ საწარმოთა 70%-ზე მეტი თვლის რომ ამჟამად არსებული საგადასახადო ტვირთი მძიმეა, 86%-ს მიაჩნია, რომ საგადასახადო განაკვეთები განსხვავებული უნდა იყოს საწარმოთა

ტიპების (მსხვილი, საშუალო, მცირე) მიხედვით, მათი 70% მიიჩნევს რომ საგადასახადო განაკვეთები განსხვავებული უნდა იყოს საწარმოთა საქმიანობის სახეების მიხედვით.

- მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის დადგენისთვის აგებულია ლაფერის მრუდი, რომლის თანახმადაც საგადასახადო ტვირთის პარამეტრები 13,6%-17,6% ინტერვალში მდებარეობს. იმავეს ადასტურებს ალტერნატიული კვლევაც რომლის მიხედვითაც საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა მშპ-სთან მუდმივ ფასებში 15%-ის ტოლია.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების ახალი საგადასახადო პარადიგმის მიკუთვნებული საკითხების კვლევის შედეგები ასეთნაირად ჩამოყალიბდა:

- შემუშავებულია ეკონომიკის მდგრადი განვითარების დეტერმინანტების ერთ ნაერთ მაჩვენებელში გამოსახვის ფორმულა: $\mathrm{ESD} = \sqrt[3]{\mathrm{E}_{EC} \times E_S \times E_{EN}}$
